



**გლობალური გარემოსდაცვითი
ფონდის მიერ დაფინანსებული
შავი ზღვის გალურჯების
პროექტი**

**დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის
გეგმა**

პროექტი

2021 წლის ოქტომბერი

მომზადებულია STRATEGYCO CONSULTANCY SPRL & CORPERA CONSULTING მიერ

შინაარსი

1. შესავალი.....	1
1.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა	1
1.2. საკითხის ისტორია.....	2
1.3. პროექტის მიმოხილვა	3
2. რეგულაციები და მოთხოვნები	4
2.1. რეგულაციების მიმოხილვა ქვეყნის დონეზე.....	4
2.2. მსოფლიო ბანკისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მოთხოვნები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებით	6
3. დაინტერესებულ მხარეთა წინა საქმიანობების მოკლე შინაარსი.....	8
4. დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია და ანალიზი.....	11
4.1. დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია	11
4.2. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი და ასახვა	16
4.3. დაინტერესებული მხარეები მოსამზადებელ ეტაპზე	23
5. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა	24
5.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამის მიზანი	24
5.2. სტრატეგიული ჩართულობის პრინციპები.....	25
5.3. ინფორმაციის გამჟღავნების შეთავაზებული სტრატეგია	26
5.4. კონსულტაციების სტრატეგია	31
5.5. სოციალურად დაუცველი ჯგუფების შეხედულებების გათვალისწინების სტრატეგია.....	32
6. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამის როლი, პასუხისმგებლობა და რესურსები	33
7. გასაჩივრების მექანიზმი	35
8. მონიტორინგი და ანგარიშგება	39
8.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მონიტორინგის საქმიანობებში....	39
8.2. ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების წინაშე	39
9. ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ნიმუში	40
10. გამოყენებული ლიტერატურა.....	40
11. დანართები	40

1. შესავალი

1.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

ამ დოკუმენტში წარმოდგენილია **გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების რეგიონული პროექტისთვის** შექმნილი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, რომელსაც განხორციელებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მულტიპლემედი საერთაშორისო სამღვივო მსოფლიო ბანკის დახმარებითა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი განხორციელდება ოთხ ქვეყანაში: საქართველოში, მოლდოვაში, თურქეთსა და უკრაინაში. პროექტის განხორციელების ზუსტი ადგილმდებარეობები ამ დროისათვის უცნობია.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 10-ის პუნქტი 18-ის შესაბამისად, „გამომდინარე გარკვეული პირობებიდან, რაც დამოკიდებულია პროექტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას ექნება ჩარჩო დოკუმენტის ფორმატი და ასახული იქნება ზოგადი პრინციპები და ერთობლივი სტრატეგია დაინტერესებულ მხარეთა და მათი ჩართულობის პროცესის დასადგენად მოცემული გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის შესაბამისად, რომელიც განხორციელდება მაშინვე, როგორც კი ცნობილი გახდება ადგილმდებარეობა“, დაინტერესებულ მხარეთა ამ გეგმას ექნება ჩარჩო დოკუმენტის ფორმატი. გეგმა შემუშავებულია, რომ უზრუნველყოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანი ჩართულობა პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და ასახოს შემდეგი ნაბიჯები, რაც გახდება საფუძველი თითოეული ქვეყნის დაინტერესებულ მხარეთა გეგმის შემუშავებაში

- სტრატეგია ეროვნულ და რეგიონულ დონეზე დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრისა და მათი ასახვის შესახებ;
- თანამშრომლობის მიდგომა როგორც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის;
- დაინტერესებულ მხარეთა დადგენის ერთობლივი სტრატეგია და ზოგადი პრინციპები;
- ჩართულობის პროცესის გეგმა, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 10-ის და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დაინტერესებულ პირთა ჩართულობის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად;
- გასაჩივრების მექანიზმის პრინციპები და სახელმძღვანელო პროცედურები

კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა უნდა შემუშავდეს ზემოთ აღნიშნული გეგმის საფუძველზე, როგორც კი მეტი ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ხალხზე და აქტივობების გრაფიკზე და სანამ ბენეფიციარ ქვეყნებში დაიწყება ნებისმიერი აქტივობის განხორციელება.

1.2. საკითხის ისტორია

შავი ზღვა თითქმის ჩაკეტილი და ზონალურად წაგრძელებული აუზია, რომელიც დაკავშირებულია ეგეოსის ზღვასთან, თურქეთის სრუტეებით. შავ ზღვას ესაზღვრება უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთის, თურქეთის, საქართველოს და რუსეთის სახელმწიფოები. შავ ზღვაში რამდენიმე მსხვილი მდინარე ჩაედინება; ისეთი, როგორც არის დუნაი, დნეპრი, დონი, რიონი, კოდორი, ენგური, ჭოროხი, ყიზილ-ირმაქი, იესილ-ირმაქი, საქარია, სამხრეთის ბუგი და დნესტრი, ისინი მოედინებიან წყალგამყოფ ხაზად რიგი არა მოსაზღვრე ქვეყნებიდან შავ ზღვაში. ამდენად, დიდი წყალშემკრები ფართობის გამო, თითქმის სულ ხმელეთით გარშემორტყმული შავი ზღვა არის საკმაოდ მგრძობიარე ანტროპოლოგიური ზემოქმედების მიმართ.

შავი ზღვის გარემოს ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს, საკვები ნარჩენებით მაღალი დაბინძურების გამო, რაც იწვევს ევტროფიკაციას, ასევე არანაკლებ საზიანოა პლასტმასით და ზღვის ნარჩენებით დანაგვიანება. კლიმატური პირობების ცვლილებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ეროზიების გამწვავება, წყალდიდობები და ზღვის გარემოს ხარისხის გაუარესება. შავი ზღვის დეგრადაციის გამომწვევი ყველაზე კრიტიკული პროცესი მიეკუთვნება მასიურ ევტროფიკაციას აზოტის და ფოსფორის ნაერთებით, რომლებიც ძირითადად სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი და ინდუსტრიული წყაროებიდან წარმოიშობება. შლამების დაცლა და ნავთობით დაბინძურება იწვევს ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესების სამიშროებას და ზოგიერთ შემთხვევაში, აფერხებს ტურიზმისა და აკვაკულტურის მდგრად განვითარებას.

გარემოს დაბინძურების საკითხის განხილვა, შავი ზღვის მდგრადი განვითარების მთავარი გამოწვევა უნდა გახდეს, პოსტ-კოვიდურ პერიოდში. წყლის დაბინძურების შეზღუდვა და შემცირება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ადამიანების ჯანმრთელობისთვის და ბუნებრივი პირობების გაჯანსაღებისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოს დაბინძურების გამოწვევების საპასუხოდ, მსოფლიო ბანკი და მისი პარტნიორები ჩაერთვნენ რეგიონული მიდგომების დაგეგმვაში და ჩამოაყალიბეს **შავი ზღვის გალურჯების რეგიონული პროექტი გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დაფინანსებით**. იგი დაფუძნებული იქნება დაბინძურების შესახებ არსებულ ანალიტიკურ სამუშაოებს, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინოვაციური ფინანსური და ბიზნესის მოდელების დადგენას, რომლებიც შეამცირებენ სანაპირო და საზღვაო რესურსების დეგრადაციას და მყარ მტკიცებულებებს უზრუნველყოფენ

შავი ზღვის გალურჯების პროექტი წარმოადგენს ერთ-ერთ მხარდამჭერ ინიციატივას საერთო საზღვაო დღის წესრიგისა და მისი შვიდი ხელმომწერი ქვეყნისთვის: ბულგარეთი, საქართველო, მოლდავეთის რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და თურქეთი. პროექტი ასევე მიზნად ისახავს ქმედებების

წამოწყებას ეროვნულ დონეზე საქართველოში, მოლდოვაში, უკრაინასა და თურქეთში.

1.3. პროექტის მიმოხილვა

პროექტის მიზანია ეკონომიკური, ტექნიკური და საკომუნიკაციო ინსტრუმენტების გაძლიერება, რომ უზრუნველყოს რეგიონული თანამშრომლობა და კერძო სექტორის ჩართულობა შავ ზღვაზე დაბინძურების პრევენციის მიზნით. პროექტის გრძელვადიანი ამოცანაა შავი ზღვის ეკოლოგიური ჯანმრთელობის გაუმჯობესება და მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური სარგებლის გაზრდა. პროექტს სამი საორიენტაციო კომპონენტი გააჩნია.

კომპონენტი 1. დაბინძურების თავიდან არიდებისა და შემცირების ღონისძიებებში ინვესტირების ეკონომიკური ასპექტები. გამართული პოლიტიკა და ინსტიტუციური ჩარჩოები ეროვნულ და რეგიონულ დონეზე რეგიონში ლურჯი ეკონომიკის განვითარების აუცილებელი საფუძველია. მიუხედავად არსებული პოლიტიკისა და მართვისა, გაზრდილი ეკონომიკური აქტივობები და ენერგეტიკაზე მოთხოვნა შავი ზღვის რეგიონში მომავალში გამოიწვევს შავ ზღვაში წყლის ხარისხის გაუარესებას. ეს კომპონენტი მიმართული იქნება დაბინძურების პრევენციასა და შემცირებისაკენ საჯარო სექტორის პოლიტიკისა და ინსტიტუციური მიდგომის ხარჯზე. კომპონენტი უმოქმედობის დაეფუძნება უმოქმედობის ანალიზის ხარჯებს, რათა გააცნოს რეგიონსა და ეროვნულ მთავრობებს უმოქმედობის ზეგავლენა დაბინძურებაზე. ეს კომპონენტი შეიმუშავებს მთავარ სტრატეგიასა და ინტერვენციებისა და მათი განხორციელების გეგმას, რომელიც ფორმულირებული იქნება რეგიონული დაბინძურების შემცირების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტში და ასევე, ეროვნული დაბინძურების შემცირების პროექტსა და წრიული ეკონომიკის გეგმებში.

კომპონენტი 2. მწვანე და ინოვაციური დაფინანსება. ეს კომპონენტი გაზრდის როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორების მზადყოფნას გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის ოთხივე სამიზნე ქვეყანაში და უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას დაბინძურების შემცირებისა და მართვისათვის აუცილებელ ფინანსურ ინვესტიციებზე, ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე. *ეკო-ინოვაციური გამოწვევა* დააფინანსებს და უზრუნველყოფს შავი ზღვის ევტროფიკაციის პრობლემების განხილვას, რაც საშუალებას მისცემს საჯარო სექტორის დაწესებულებებს, განვითარების პარტნიორებსა და პოტენციურ ინვესტორებს განსაზღვრონ, შეამოწმონ და დააფინანსონ ინოვაციური გადაწყვეტილებები. ამ კომპონენტის ფარგლებში პროექტი ასევე მხარს დაუჭერს სიცოცხლისუნარიანი გადაწყვეტილებებისა და ადგილმდებარეობის დადგენისა და არჩევის საშუალებით ინვესტიციების მომზადებას.

კომპონენტი 3. პროექტის მართვა. ამ კომპონენტის სამიზნე იქნება პროექტის ეფექტიანობისა და ქმედითობის უზრუნველყოფა როგორც კარგი მონიტორინგისა და მართვის სისტემის, ასევე პროექტში მონაწილეობისა და საკონსულტაციო მექანიზმების ჩამოყალიბების საშუალებით.

2. რეგულაციები და მოთხოვნები

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტი სარგებლის მომტანი იქნება შავი ზღვის ყველა ქვეყნისათვის ცოდნის გაცვლისა და სტანდარტების შექმნის მეშვეობით, ეროვნული დონის აქტივობები ჩატარდება საქართველოში, მოლდოვაში, თურქეთსა და უკრაინაში. აქედან გამომდინარე, პროგრამის განხორციელების სტადიაზე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმები შემუშავდება ამ ოთხი ქვეყნისათვის, მათი ეროვნული რეგულაციების, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მოთხოვნების შესაბამისად.

2.1. რეგულაციების მიმოხილვა ქვეყნის დონეზე

ოთხივე საპროექტო ქვეყანას გააჩნია რეგულაციები საზოგადოების მონაწილეობის, კონსულტაციების და მათი მოქალაქეების ინფორმაციაზე წვდომის საკითხებზე. ეს საკითხები რეგულირდება ან კონსტიტუციური კანონით, როგორცაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ან გარემოსდაცვითი შეფასების კანონით, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო კონსულტაციებსა და საზოგადოების მონაწილეობას განსაკუთრებით ისეთ სახელმწიფო ან კერძო პროექტებთან დაკავშირებით, რომელთაც ზემოქმედება აქვთ გარემოსა და საზოგადოებაზე. ქვემოთ მოცემულია ეროვნული დონის რეგულაციების შეჯამება.

Georgia: საქართველოს კონსტიტუციის **მე-3 ნაწილის 37-ე მუხლი** აცხადებს, რომ „ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს ჯანსაღ გარემოში, ისარგებლოს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“; **მე-5 ნაწილის 37-ე მუხლი** აცხადებს, რომ „ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიიღოს სრული, მიუკერძოებელი და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი პირობების შესახებ. **პირველი ნაწილის 41-ე მუხლი** აცხადებს, რომ “საქართველოს მოქალაქე უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია საკუთარ თავზე და ასევე, გააჩნდეს წვდომა სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებზე იმ პირობით, რომ ეს დოკუმენტები მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიული ან კომერციული მნიშვნელობის კონფიდენციალურ ინფორმაციას“.

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (**№ 890-III, 2017**) 2017 წლის 7 დეკემბერს ამოქმედდა და არეგულირებს საქართველოში გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების განხორციელების პროცესს, პროცედურებსა და კვლევებს. საზოგადოების მონაწილეობა ამ კოდექსის ერთერთი მოთხოვნაა.

მოლდოვა: მოლდოვას გააჩნია შემდეგი სახის კანონმდებლობა, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქის/ დაინტერესებული პირის ჩართულობასთან, და მოიცავს როგორც მისი ინფორმაციაზე წვდომის უფლებას, ასევე მისი (მოქალაქის) მონაწილეობის უფლებას პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილების მიღებაში:

- **კანონი № 982 / 2000 წელი, ინფორმაციაზე წვდომის შესახებ** არეგულირებს ურთიერთობებს ინფორმაციის მიმწოდებლებსა და ფიზიკურ პირებს შორის, ინფორმაციის მიმწოდებლების მოვალეობებსა და ინფორმაციის მიღების უფლების დაცვას.

- **კანონი № 64 / 2010 წელი, გამონატვის თავისუფლების შესახებ** უზრუნველყოფს უფლებას გამონატვის თავისუფლებაზე და არეგულირებს წონასწორობას/ ბალანსს გამონატვის თავისუფლების უფლებასა და პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვას შორის.
- **კანონი № 239 / 2008 წელი, გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობაზე** ეხება ინფორმაციის გამჭვირვალობას და მასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების პროცესსა და ასევე, გადაწყვეტილების შემუშავებისას დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციას.
- **მოდლოვას ადმინისტრაციული კოდექსი** ადგენს მოქალაქეთა პეტიციების/ შუამდგომლობების შესაბამის ორგანოებში განხილვის პროცედურას, განმცხადებლების უფლებების დაცვისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.
- **Law № 86 / 2014 წელი, გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების შესახებ** ადგენს საფუძველს გარემოსდაცვითი შეფასებისათვის. აუცილებელი საჯარო კონსულტაციები იმ პროექტებისათვის, რომლებიც სრულ გზმ-ს საჭიროებენ პროექტის საწყის ეტაპზე, სანამ გზმ მომზადდება (სამუშაოების მოცულობის დადგენის ეტაპზე) და შედარებით გვიან ეტაპზე, როცა განცხადება გზმ-ს შესახებ გაეცნობა საზოგადოებას სახელმწიფო გარემოსდაცვითი ორგანოს მიერ საბოლოო (განახლებული) დოკუმენტაციის განხილვამდე.
- **მოდლოვას კანონი მედიაციის შესახებ** არეგულირებს მედიაციას, როგორც დავების გადაწყვეტის მშვიდობიან გზას, ასევე მედიატორისა და მედიაციის პროცესის სტატუსს

თურქეთი: თურქეთს გააჩნია შემდეგი სახის კანონმდებლობა, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქის/ დაინტერესებული პირის ჩართულობასთან, და მოიცავს როგორც ინფორმაციაზე წვდომის უფლებას, ასევე მისი (მოქალაქის) მონაწილეობის უფლებას პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილების მიღებაში:

- **პეტიციის შეტანის უფლება (კონსტიტუცია მუხლი 74)** იმოქალაქეთა და თურქეთში მცხოვრები უცხოელების კონსტიტუციური უფლება წერილობით მიმართონ კომპეტენტურ ორგანოებს და თურქეთის დიდ ეროვნულ ასამბლეას იმ მოთხოვნებთან და საჩივრებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ ან საზოგადოებას ეხება.
- **კანონი ინფორმაციაზე წვდომის შესახებ (მუხლი 11)** არეგულირებს, რომ ყველას ჰქონდეს ინფორმაციაზე წვდომის უფლება და დაწესებულებები და სააგენტოები ვალდებული არიან 15 სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყონ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება.
- **გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების რეგულაცია № 29186 (მუხლი 9)** მოითხოვს ჩატარდეს საზოგადოების ჩართულობის შეხვედრები, რათა თემებსა და დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაცია მიეწოდოთ პროექტის შესახებ და მიიღონ მათი შეხედულებები და გამომხმაურებები.
- **საკონსტიტუციო საჩივრის უფლება (კონსტიტუცია, მუხლი 148):** ყველას აქვს უფლება მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმის საფუძველზე, რომ ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების ევროპული კონვენციის ფარგლებში საჯარო ხელისუფლების მხრიდან ირღვევა კონსტიტუციით გარანტირებული ერთერთი ფუნდამენტური უფლება და თავისუფლება.

უკრაინა: უკრაინას გააჩნია შემდეგი სახის კანონმდებლობა, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქის/ დაინტერესებული პირის ჩართულობასთან და მოიცავს როგორც ინფორმაციაზე წვდომის უფლებას, ასევე მისი (მოქალაქის) მონაწილეობის უფლებას პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილების მიღებაში:

- **წვდომა საკანონმდებლო ინფორმაციაზე, სახელმძღვანელო მითითებებსა და პრაქტიკებზე:** უკრაინის კონსტიტუციის 34-ე მუხლი უზრუნველყოფს უკრაინის მოქალაქეებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. კანონი № 2939 „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“, კანონი № 2657 „ინფორმაციის შესახებ“ და კანონი № 183 „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ უზრუნველყოფს ნორმატიულ ჩარჩოს სხვადასხვა ტიპის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. კანონი № 2939 „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“ აცხადებს, რომ საჯარო ხელისუფლების ხელთ არსებული ინფორმაცია არ შეიძლება შეიზღუდოს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის მიეკუთვნება კონფიდენციალურ ან საიდუმლო კატეგორიას ან არ არის მხოლოდ შიდა გამოყენებისათვის განსაზღვრული.
- **უკრაინის მოქალაქეთა ჩართულობის კანონმდებლობა:** რეგულაცია № 996 „საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცედურა საჯარო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით“ განსაზღვრავს საჯარო კონსულტაციების ფორმასა და მეთოდებს და განასხვავებს უშუალო, პირდაპირ კონსულტაციებს, როგორცაა კონფერენციები, შეხვედრები, სემინარები, ვებ კონფერენციები და კონსულტაციის არაპირდაპირ ფორმებს, როგორცაა საჯარო გამოკითხვები. რეგულაცია № 234 განსაზღვრავს კონკრეტულ პროცედურებს, რომლებიც მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ადგილობრივ საბჭოებთან ერთად საჯარო გამოკითხვებისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების ჩატარებას ეხება.
- **უკრაინის გასაჩივრების მექანიზმები:** კანონი № 393 „მოქალაქეების საჩივრების შესახებ“ (მუხლი მე-3, პუნქტი მე-4) განსაზღვრავს და (მუხლები 16-19) არეგულირებს საჩივრების შეტანის მექანიზმებს. როგორც ეროვნული, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებული არიან ობიექტურად განიხილონ მოქალაქეების საჩივრები, აუნაზღაუროს მოქალაქეებს მათი ულებების ნებისმიერი დარღვევა და უზრუნველყოს საჩივრების განხილვისას მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების დასაბუთება.

2.2. მსოფლიო ბანკისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მოთხოვნები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებით

მსოფლიო ბანკი	გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი
---------------	--------------------------------

<p>მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო დოკუმენტის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი 10 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის საჯაროობა აღიარებს 'მსესხებელსა და დაინტერესებულ მხარეს შორის 'ღია და გამჭვირვალე ჩართულობის მნიშვნელობას, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ერთერთ არსებით ელემენტს'.</p>	<p>გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტებს მოეთხოვებათ რომ შეესაბამებოდნენ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, კონკრეტულად კი, მოთხოვნებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საჯარო კონსულტაციების შესახებ, რომლებიც გაწერილია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პოლიტიკაში გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროექტებში საზოგადოების ჩართულობის პუნქტში.</p> <p>პროექტის დაინტერესებულ მხარეთა აქტივობები უნდა იყოს სტაბილური და ინფორმაციის მიწოდება/ გაცხადება საკმარისი, რომ უზრუნველყოს უკეთესი ინფორმირებულობა და მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და ოპერაციების კარგი გააზრება.</p>
---	--

მოთხოვნები

<ul style="list-style-type: none"> - იმ დაინტერესებულ მხარეთა დადგენა, რომლებიც იმყოფებიან პროექტის ზემოქმედების ქვეშ ან დაინტერესებულები არიან პროექტით და ასევე, დაუცველი/ მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენა; - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის შემუშავება, რომელი მოიცავს (i) დაინტერესებულ მხარეთა დადგენასა და ანალიზს; (ii) დაგეგმვა, თუ როგორ უნდა მოხდეს დაინტერესებულ პირთა ჩართულობა; (iii) ინფორმაციის მიწოდება/ გაცხადება; (iv) კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან; (v) საჩივრების განხილვა და მათზე რეაგირება; და (vi) ანგარიშგება დაინტერესებულ პირთა წინაშე; - დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობა პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში; 	<ul style="list-style-type: none"> - იმ ადამიანების ან თემების დადგენა, რომლებიც არიან ან სავარაუდოდ იქნებიან პროექტის ზემოქმედების ქვეშ, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეთა დადგენა; - დაგეგმეთ პროექტის სასიცოცხლო ციკლის პერიოდში მიმდინარე პროცესი და შეიმუშავეთ დაინტერესებული მხარის ჩართულობის გეგმა; - ინფორმაციის მიწოდება/ გაცხადებისა და შინაარსიანი კონსულტაციების საშუალებით უზრუნველყოფა, რომ ის დაინტერესებული მხარეები, რომლებზეც შესაძლოა პოტენციური ზემოქმედება მოახდინონ ამ საკითხებმა, სათანადოდ იყვნენ ჩართულები აღნიშნულ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში; - გონივრული ჩართულობის საშუალებით დაინტერესებულ
---	--

<ul style="list-style-type: none"> - დაინტერესებულ პირთა უზრუნველყოფა დროული, შესაბამისი, გასაგები და ხელმისაწვდომი ინფორმაციით, კონსულტაციები დაინტერესებულ პირებთან თავაზიანობის შესაბამისი ფორმის გათვალისწინებით; - დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის გასაჯაროება და გეგმის შესახებ დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების მოძიება; - გასაჩივრების მექანიზმის შეთავაზება და განხორციელება, რათა მოხდეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური აქტივობების შესახებ პრობლემებისა და საჩივრების/დავების ადვილად და დროულად გადაწყვეტა. 	<p>მხარეებთან კონსტრუქციული ურთიერთობის მუდმივი შენარჩუნება პროექტის განხორციელების მთელ პერიოდში.</p>
--	--

ეროვნული რეგულაციების არარსებობის შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმები მომზადდება ამ ჩარჩოსთან შესაბამისობაში და მსოფლიო ბანკისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მოთხოვნათა მიხედვით.

3. დაინტერესებულ მხარეთა წინა საქმიანობების მოკლე შინაარსი

პროექტის *მოსამზადებელი ფაზის* პერიოდში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნომ დაგეგმა ეროვნულ დონეზე შვიდი საკონსულტაციო სემინარი „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ ხელისმომწერი ქვეყნების დაინტერესებულ მხარეებთან. 2021 წლის მაისიდან დაწყებული ეროვნული კონსულტაციები ჩატარდა საქართველოში, მოლდოვაში, თურქეთში, უკრაინაში, რუმინეთსა და ბულგარეთში. კონსულტაციების შესახებ განცხადებები გაკეთდა მსოფლიო ბანკის ღონისძიებების გვერდზე და განთავსდა მსოფლიო ბანკის ქვეყნების ვებგვერდებზე. ღონისძიება ორგანიზებული იყო Facebook და Zoom საშუალებით და უზრუნველყოფილი იყო თარგმანით ამ ქვეყნების ოფიციალურ ენებზე.

სემინარი დაგეგმილი იყო ორ სამუშაო სესიად, სადაც დაინტერესებული მხარეები მსჯელობდნენ როგორც ზღვის დაბინძურებასთან დაკავშირებული წყაროების, ზემოქმედებისა და პრევენციის ძალისხმევის შესახებ, ასევე, კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაბინძურების გამოწვევებზე, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფდა პროექტის განხორციელების გეგმას. საბოლოო ჯამში, პროექტმა

შექმნა ღია პლატფორმა დაინტერესებული მხარეებისათვის, რათა მათ ემსჯელათ შავი ზღვის დაბინძურებასთან ბრძოლის ერთიანი და კოორდინირებული გადაწყვეტილების შემუშავების საკითხებზე.

საკონსულტაციო სემინარის დოკუმენტები, პრეზენტაციები და შეხვედრის ჩანაწერები გამოქვეყნდება [შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ვებგვერდზე/ BSECwebsite¹](http://www.bsec-bsvkc.org/Forms/BlueingTheBlackSeaProject).

ქვეყანა	შეხვედრის თარიღი
თურქეთი	4 თებერვალი, 2021
საქართველო	25 თებერვალი, 2021
უკრაინა	11 მარტი, 2021
მოლდოვა	22 მარტი, 2021
ბულგარეთი	29 მარტი, 2021
რუმინეთი	22 აპრილი, 2021

დაინტერესებულ მხარეთა გამომხატვება ეროვნული საკონსულტაციო სემინარების შესახებ:

ეროვნულ საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეობდა დაინტერესებულ მხარეთა 130-ზე მეტი წარმომადგენელი. საკონსულტაციო შეხვედრების ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა ინფორმაციის შეგროვება მონაწილეებისაგან, რომელშიც შედიოდნენ ექსპერტები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მთავრობის ოფიციალური პირები, მუნიციპალიტეტებისა და ბიზნესების წარმომადგენლები. ამ შეხვედრების დროს, მიღებული იქნა გამომხატვებები როგორც რეგიონში ზღვის დაბინძურების საკითხებთან დაკავშირებული წყაროების, ზემოქმედებისა და პრევენციული ძალისხმევების შესახებ (ინფორმაციული და ინსტიტუციური ხარვეზები), ასევე თითოეული ქვეყნის დაბინძურების ძირითადი გამოწვევების შესახებ. მიღებული შედეგები შევა ქვეყნის დაბინძურების დიაგნოსტიკის შიდა ანგარიშში თითოეული ქვეყნისათვის, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პროექტის არქიტექტურასა და ეფექტიანი ეროვნული და რეგიონული დიაგნოსტიკური ინსტრუმენტის, შექმნას. შავი ზღვისპირა ქვეყნების საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზების მიზანია მოიძიოს:

- ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებისაგან ზღვის დაბინძურების შესახებ, შავი ზღვის დაბინძურების პრევენციასთან, დაბინძურების შემცირებასთან და კონტროლთან დაკავშირებული გადაუდებელი პრობლემებისა და პრიორიტეტების შესახებ და იპოვოს შესაძლებლობები ინფორმაცია მიაწოდოს დაგეგმილი „შავი ზღვის გალურჯების პროგრამის“ არქიტექტურასა და განხორციელების მოდალობებს/ მეთოდებს;
- ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული და რეგიონული დაბინძურების დიაგნოსტიკურ ინსტრუმენტს და შექმნის საბაზისო საფუძველს მისი შემდგომი მოქმედებისათვის.

¹ <http://www.bsec-bsvkc.org/Forms/BlueingTheBlackSeaProject>

მონაწილეების მხრიდან მიღებული საერთო გამოხმაურებები:

- შავი ზღვის დაბინძურების მდგომარეობისა და წამოჭრილი საკითხების დიაგნოსტიკური სამუშაოების ზოგადი მხარდაჭერა
- მონაწილეთა ძირითადი თანხმობა, რომ დიაგნოსტიკურ სამუშაოებში აისახოს ის ძირითადი ხარვეზები, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებენ.
- ზოგადი გამოხმაურებები კანონმდებლობის რეგულირების შესახებ, რომელიც დაბინძურების პრევენციას, ბიზნეს მეწარმეებისათვის შესაძლებლობების განვითარებასა და ბანკის ან განვითარების ორგანიზაციების მხრიდან მეტი ინვესტიციების საჭიროებას გულისხმობს.
- მონაწილეებისაგან მიღებული იქნა გამოხმაურება, რომ ძირითად სექტორებთან დაკავშირებით, როგორც არიან სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, საზღვაო და გადაზიდვების სექტორები, შემუშავებული იყოს დაკავშირებით შემუშავებული იყოს სახელმძღვანელო მითითებები.
- არსებობს მაღალი ინტერესი ეროვნულ დონეზე ზღვის დაბინძურებისა და წრიული ეკონომიკის საინვესტიციო გეგმის შემუშავების შესახებ. მონაწილეები აცხადებენ ეროვნულ დონეზე წრიული ეკონომიკის გეგმის შემუშავების აუცილებლობის, დაბინძურების შემცირების ინვესტიციებისა და ძირითადი სექტორებისათვის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავების საჭიროებების შესახებ..
- მონაწილე საზოგადოების მხრიდან ინტერესი დაიმსახურა ასევე ინვესტიციების მომზადებისა და დაგეგმვისა და ეკო-ინოვაციური გამოწვევების საკითხებმაც.
- გამოხმაურება მიღებულია ყველა ქვეყნის მონაწილეთაგან, რომ ძალიან მნიშვნელოვანია განვითარების ინსტიტუტებთან ურთიერთობა რეგიონულ დონეზე. „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ თითოეულ შვიდ ქვეყანაში იქმნება ეროვნული ცენტრები (ჰაბი) კოორდინაციისა და დიალოგის გაზრდის მიზნით, რათა დაინტერესებულ მხარეთა შორის უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა.
- მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობასა და მონაწილეობას ეკო-ინოვაციების გამოწვევის კონკურსში, ისევე როგორც ახალგაზრდობის წახალისებას პროექტში მონაწილეობის მისაღებად.

თემები, რომლებიც შევა პროექტის განხორციელების გეგმაში:

- მდგრადი ბიზნეს სტანდარტების დადგენა და მდგრადი ბიზნეს პრაქტიკებისა და ინოვაციის ერთობლივი წახალისება,
- ეკო-მდგრადი ბიზნეს პრაქტიკებისა და ინოვაციების წახალისება,
- ინფორმაციის გაცვლის/ მართვის ჩადება პროექტის კომპონენტებში და გონივრული ამოცანებისა და მიზნების დადგენა.

4. დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია და ანალიზი

4.1. დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია

დაინტერესებულ მხარეებად იწოდებიან ინდივიდუალური პირები ან ჯგუფები, რომლებიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან ან სავარაუდოდ, მომავალში იქნებიან პროექტის ზემოქმედების ქვეშ და რომლებსაც პროექტის მიმართ გარკვეული ინტერესი გააჩნიათ.

პროექტის მოსამზადებელ ფაზაში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნომ შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებში, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, უნივერსიტეტებში, ეროვნულ და რეგიონულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში დაადგინა პირველადი დაინტერესებული მხარეები და ჩაატარა ეროვნული დონის საკონსულტაციო სემინარები ზემოთ აღნიშნული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით (მონაწილეთა სიის გასაცნობად, გთხოვთ იხილოთ დანართი 1).

პროექტის რეგიონალობისა და მოცულობის გათვალისწინებით, დაინტერესებულ მხარეთა სია კიდევ უფრო გაფართოვდება განხორციელების პერიოდში. განხორციელებისათვის პროექტს გააჩნია სამი მთავარი ინსტრუმენტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფი და რომელიც ზემოქმედებას ახდენს ამ ჯგუფებზე:

- 1- ანალიზი და პოლიტიკის/ გეგმის შემუშავება;
- 2- ცნობიერების ამაღლება და ტრენინგები;
- 3- ეკო-ინოვაციური გამოწვევა / საგრანტო სქემა

აქედან გამომდინარე, დაინტერესებულ მხარეთა დასადგენად პროექტი იყენებს სამი სვეტის კატეგორიზაციას, რომელიც გამოიწვევს დაინტერესებულ მხარეთა ინკლუზიური ჩართულობის პროცესს.

<p>პროექტთან კავშირი</p>	<p>ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები: ინდივიდუალური ჯგუფები/ ორგანიზაციები, რომლებიც მათ საარსებო საშუალებებზე, კეთილდღეობაზე, ფიზიკურ გარემოსა და ა.შ. პროექტის რეალური ან პოტენციური რისკების გამო სავარაუდოდ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევიან;</p> <p>სხვა დაინტერესებული მხარეები: ინდივიდუალური ჯგუფები/ ორგანიზაციები, რომელთა ინტერესიც პროექტის მიმართ შესაძლოა გამოწვეული იყოს პროექტის ადგილმდებარეობით, მისი დამახასიათებელი თვისებებით, ზემოქმედებით;</p> <p>დაუცველი/ მოწყვლადი ჯგუფები: პირები, რომლებიც შესაძლებელია სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, პროექტის (პროექტების) არაპროპორციული ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდნენ ან თავიანთი დაუცველობის სტატუსიდან გამომდინარე, უფრო მეტად დაზარალდნენ.</p>
<p>დაინტერესებულ მხარეთა კატეგორიები (მრავალფეროვნება)</p>	<ul style="list-style-type: none"> • მთავრობა/საჯარო დაწესებულებები (ცენტრალური და პროვინციული) • არასამთავრობო და/ან თემზე დაფუძნებული ორგანიზაციები • ადგილობრივი თემები • კერძო სექტორი • აკადემიური ინსტიტუციები • მულტილატერალური სააგენტოები
<p>გეოგრაფიული ადგილმდებარეობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი • ეროვნული • რეგიონული

კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის შემუშავებისას ბენეფიციარი ქვეყნები წარადგენენ ყველა შესაბამის დაინტერესებულ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც პროექტის შემოქმედების ქვეშ იმყოფებიან და ინტერესი გააჩნიათ პროექტის აქტივობებთან და უზრუნველყოფენ, რომ გულმოდგინე შერჩევის/ სკრინინგის საფუძველზე მასში ჩაერთვებიან სხვადასხვა კატეგორიების დაინტერესებული მხარეები, განსაკუთრებით, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და თემებიდან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია დაინტერესებულ მხარეთა ის ჯგუფები, რომელთა საფუძველზეც დადგინდება კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებული მხარე. ეს ჩამონათვალი არ არის საბოლოო და გაფართოვდება თითოეული ქვეყნის კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე. კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმა, რომელიც განხორციელების პერიოდში მომზადდება დაადგენს და ასახავს კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელ დაინტერესებულ მხარეებს და მხედველობაში მიიღებს შესაბამის ადგილობრივ კონტექსტსა და ქვეყნის მიერ მხარდაჭერილი ქვე-პროექტების ბუნებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია დადგენილი დაინტერესებული მხარეების წინასწარი სია.

დაინტერესებული მხარე	პროექტთან კავშირი	დაინტერესებულ მხარეთა კატეგორია	გეოგრაფიული ადგილმდებარეობა	პროექტთან შესაბამისობა
თემები	შემოქმედების ქვეშ მყოფი	თემი	ადგილობრივი	
ფერმერები (სოფლის მეურნეობის პროდუქცია და მესაქონლეობა)				<ul style="list-style-type: none"> ეროვნული გეგმები შემოქმედებას მოახდენს მათ საარსებო საშუალებებსა და/ ან სოციო-კულტურულ პრაქტიკაზე. საგრანტო პროექტებმა შესაძლოა შემოქმედება მოახდინონ მათ საარსებო საშუალებებსა და/ ან სოციო-კულტურულ პრაქტიკაზე.
მეთევზეები (მათ შორის, რომელთა საარსებო პირობები ძირითადად ზღვასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე არის დამოკიდებული)				
შინამეურნეობები, რომლებსაც ქალები უძღვებიან				
ქალი მეწარმეები				
მიგრანტი მუშები				
ლტოლვილები				
იძულებით გადაადგილებული პირები				
კონკრეტულ სექტორში მომუშავე პირები, რომლებიც დაბინძურების შემოქმედების ქვეშ იმყოფებიან				
მეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები				
ხანდაზმულები				
ეთნიკური უმცირესობები				
ახალგაზრდობა, ახალგაზრდა მეწარმეები				
ბავშვები				

<i>გთხოვთ დაამატოთ ამ კატეგორიის შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.</i>				
ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები / თემებზე დაფუძნებული ორგანიზაციები	ზემოქმედების ქვემყოფი	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია / თემებზე დაფუძნებული ორგანიზაცია	ადგილობრივი	<ul style="list-style-type: none"> • ეროვნული გეგმები ზემოქმედებას მოახდენს მათი წევრების საარსებო საშუალებებზე. • სამიზნე ჯგუფები მდგრადი ბიზნეს სტანდარტების ტრენინგისათვის, სემინარებისათვის, საპილოტე პროექტებისათვის.
ადგილობრივი ბიზნეს ასოციაციები (სოფლის მეურნეობაში, აკვაკულტურაში, ტურიზმსა და გადაზიდვებში)				
სოფლის მეურნეობის განვითარების კოოპერატივები				
თევზჭერის / აკვაკულტურის კოოპერატივები				
ტურიზმის კოოპერატივები				
გადაზიდვები				
<i>გთხოვთ დაამატოთ ამ კატეგორიის შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.</i>				
საჯარო დაწესებულებები / სააგენტოები	ზემოქმედების ქვემყოფი	საჯარო დაწესებულება	ეროვნული	<ul style="list-style-type: none"> • ეროვნული გეგმებისათვის რესურსების მიმწოდებელი • ეროვნული გეგმების განმახორციელებელი
გარემოსდაცვითი სამინისტროები				
სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, გადაზიდვების სამინისტროები				
ინოვაციების, ტექნოლოგიების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ეროვნული სააგენტოები				
<i>გთხოვთ დაამატოთ ამ კატეგორიის შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.</i>				
ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები	ზემოქმედების ქვემყოფი / დაინტერესებული	არასამთავრობო ორგანიზაცია	ეროვნული	<ul style="list-style-type: none"> • ეროვნული გეგმები ზემოქმედებას მოახდენს მათი წევრების საარსებო საშუალებებზე. • ეროვნული გეგმებისათვის რესურსების მიმწოდებელი
ეროვნული დონის ბიზნეს ასოციაციები				
არასამთავრობო ორგანიზაციები / ბიზნეს ასოციაციები, რომლებიც ინოვაციებსა და მდგრადობის საკითხებზე მუშაობენ				
არასამთავრობო ორგანიზაციები რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობის, აკვაკულტურის, ტურიზმის, გადაზიდვებისა და წყლის მართვის საკითხებზე				
<i>გთხოვთ დაამატოთ ამ კატეგორიის შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.</i>				

საწარმოები / მრეწველობის დარგები	ზემოქმედების ქვეშ მყოფი	კერძო სექტორი	ადგილობრივი / ეროვნული	
ვაჭრობის პალატა				<ul style="list-style-type: none"> • ეროვნული გეგმები ზემოქმედებას მოახდენს მათზე და მათ წევრებზე . • სამიზნე ჯგუფები მდგრადი ბიზნეს სტანდარტების ტრენინგისათვის, სემინარებისათვის, საპილოტე პროექტებისათვის • ეკონომიკის განვითარების გამოწვევის კონკურსის აპლიკანტები
მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობის, აკვაკულტურის, გადაზიდვების, თევზჭერის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების საკითხებზე.				
<p><i>გთხოვთ დაამატოთ ამ კატეგორიის შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.</i></p>				
სამეცნიერო წრეები/ უნივერსიტეტი	დაინტერესებული	სამეცნიერო დაწესებულებები	ეროვნული	<ul style="list-style-type: none"> • ეროვნული გეგმებისათვის რესურსების მიმწოდებელი
<p><i>გთხოვთ დაამატოთ ამ კატეგორიის შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.</i></p>				
განვითარების სააგენტოები	დაინტერესებული		ეროვნული	<ul style="list-style-type: none"> • ეროვნული გეგმები ზემოქმედებას მოახდენენ მათ საინვესტიციო სტრატეგიებზე.
თურქეთის რეგიონული განვითარების სააგენტოები შავი ზღვის რეგიონისათვის				
მოლდოვას რეგიონული განვითარების სააგენტო				
უკრაინის რეგიონული განვითარების სააგენტოების ეროვნული ასოციაცია				
<p><i>გთხოვთ დაამატოთ ამ კატეგორიის შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.</i></p>				
მუნიციპალიტეტები	ზემოქმედების ქვეშ მყოფი	ადგილობრივი ხელისუფლება	ადგილობრივი	<ul style="list-style-type: none"> • ეროვნული გეგმებისათვის რესურსების მიმწოდებელი და თანაგანმახორციელებელი • მდგრადი ბიზნეს სტანდარტების
შავი ზღვის რეგიონის თითოეული ქვეყნის მუნიციპალიტეტები				

				<p>განმანორციელებელი</p> <ul style="list-style-type: none"> შესაძლებელია იყოს გრანტის მიმღები
ბანკის სათაო ოფისები / ფილიალები	ზემოქმედების ქვეშ მყოფი / დაინტერესებული	კერძო/ საბანკო სექტორი	ეროვნული	<p>სამიზნე ჯგუფები მდგრადი ბიზნეს სტანდარტების ტრენინგისათვის, სემინარებისათვის, საპილოტე პროექტებისათვის.</p>
<i>გთხოვთ დაამატოთ ამ კატეგორიის შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.</i>				
საერთაშორისო ორგანიზაციები	დაინტერესებული		საერთაშორისო	<ul style="list-style-type: none"> ეროვნული და რეგიონული გეგმების რესურსების მიმწოდებლები. დაბინძურების შემცირებისა და პრევენციის ინვესტიციების სახელმძღვანელო მითითებების რესურსის მიმწოდებელი და განმანორციელებელი. ცოდნისა და გამოცდილების გაცვლა
სმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისია				<ul style="list-style-type: none"> დაბინძურების შემცირებისა და პრევენციის ინვესტიციების სახელმძღვანელო მითითებების რესურსის მიმწოდებელი და განმანორციელებელი. ცოდნისა და გამოცდილების გაცვლა
შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კომისიასთან არსებული შავი ზღვის კომისია				
შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი				
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ბიზნესის საბჭო				
ევროკომისია				
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა				
<i>გთხოვთ დაამატოთ ამ კატეგორიის შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.</i>				
საერთაშორისო ორგანიზაციები	დაინტერესებული		საერთაშორისო	<p>დამფინანსებელი</p>
გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი				
<i>გთხოვთ დაამატოთ ამ კატეგორიის შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.</i>				
საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები	დაინტერესებული	არასამთავრობო ორგანიზაცია	საერთაშორისო	<ul style="list-style-type: none"> რეგიონული გეგმებისათვის რესურსის მიმწოდებელი
ბიზნესის საერთაშორისო ინსტიტუციები (Plastics Europe)				
<i>გთხოვთ დაამატოთ ამ კატეგორიის შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.</i>				

4.2. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი და ასახვა

დაინტერესებული მხარეების ანალიზი წარმოადგენს გამოვლენილი დაინტერესებული მხარეების გამოკვლევის პროცესს იმ უარყოფითი ან დადებითი **ზემოქმედების** მიხედვით, რაც პროექტს ექნება მათ საარსებო წყაროებზე, სოციალურ და კულტურულ პრაქტიკაზე, იმ **გავლენას**, რაც მათ შეიძლება ჰქონდეთ პროექტზე, იმ **ინტერესს**, რომელიც აჩვენებს მათ მოლოდინებსა და პრობლემებს, დაკავშირებულს პროექტთან და საბოლოოდ, მათ **პოზიციას**. პროექტი გამოიყენებს ქვემოთ მოცემულ ცხრილს რეგიონულ და ქვეყნის დონეზე დაინტერესებული მხარეების ანალიზისათვის.

დაინტერესებულ მხარეთა კატეგორია	დაინტერესებული მხარე	ზემოქმედების/ინტერესის დონე (მაღალი/ დაბალი)	გავლენის დონე (მაღალი/ დაბალი)	მოლოდინები/პრობლემები	პოზიცია/დამოკიდებულება
თემები	ფერმერები, მეთევზეები, შინამეურნეობები, რომლებსაც ქალები უძღვებიან, მეწარმე ქალები, მიგრანტი მუშები, ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები, კონკრეტულ				

	სექტორში მომუშავე პირები, რომლებიც დაბინძურების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან, ახალგაზრდები და ა.შ.				
არასამთავრობო ორგანიზაცია/ თემზე დაფუძნებული ორგანიზაცია	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები/ თემზე დაფუძნებული ორგანიზაციები (ბიზნესის ასოციაციები და ა.შ.)				
	ბიზნესის ეროვნული ასოციაციები				
	არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ინოვაციების, ტექნოლოგიებისა და მდგრადობის საკითხებზე				
	არასამთავრობო ორგანიზაციები,				

	რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობის, აკვაკულტურის, ტურიზმის, გადაზიდვების, წყლის მართვის საკითხებზე				
საჯარო დაწესებულებები	გარემოს დაცვის სამინისტროები				
	სოფლის მეურნეობის, გადაზიდვების და ა.შ. სამინისტროები				
სახელმწიფო სააგენტოები	მცირე და საშუალო ბიზნესის ეროვნული სააგენტოები				
	ინოვაციის, ტექნოლოგიის, მდგრადობის სააგენტოები				
	რეგიონული განვითარების სააგენტოები				
ადგილობრივი ხელისუფლება	მუნიციპალიტეტები				
აკადემიური წრეები	უნივერსიტეტები				
	კვლევითი ცენტრები				

კერძო სექტორი	მცირე და საშუალო ბიზნესები				
ფინანსური/ საინვესტიციო ორგანიზაციები	ეროვნული ბანკები				
	შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი				
	შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ბიზნესის საბჭო				
საერთაშორისო ორგანიზაციები / მულტილატერული განვითარების ორგანიზაციები	ევროკომისია				
	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა				
	გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი				
	შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კომისიასთან არსებული შავი ზღვის კომისია				
	ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის				


	გენერალური კომისია				
	ბიზნესის საერთაშორისო ინსტიტუციები (Plastics Europe)				

ამ ანალიზის მიხედვით, ზემოქმედება-გავლენის ცხრილი გამოყენებულ იქნება პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ასახვისათვის. ზემოქმედება-გავლენის გათანაბრებიდან გამომდინარე დაინტერესებული პირები განთავსდებიან მატრიცაზე. ჩარჩოში #1 არიან პირველადი დაინტერესებული მხარეები, ჩარჩოში #2 - მეორე მეორეხარისხოვანი დაინტერესებული მხარეები და ჩარჩოში #3 კი მესამეხარისხოვანი დაინტერესებული პირები. ეს ხელს შეუწყობს ჩართულობის აქტივობების დონია და პერიოდულობის ასახვას დაინტერესებულ მხარეებთან მიმართებაში (გთხოვთ იხილოთ ქვემოთ დაინტერესებულ მხარეთა ასახვის დიაგრამა).

ბენეფიციარი ქვეყანა ჩაატარებს სემინარს რეგიონული, ეროვნული და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების განსაზღვრისა და ანალიზის შესახებ, როდესაც პროექტის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი. ამ კვლევის შედეგად. ბენეფიციარი ქვეყანა ამ კვლევის შედეგად დაასრულებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმას, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ჩართულობის მეთოდები, ინსტრუმენტები და ვადები თითოეული დაინტერესებული ჯგუფისათვის.

დაინტერესებული მხარეების ანალოგიური ანალიზისა და ასახვის მიდგომა იქნება ჩართული ეკო-ინოვაციური გამოწვევებისა და გრანტების განაცხადის/აპლიკაციების დოკუმენტებში. განმცხადებლებს მოეთხოვებათ დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გეგმის წარდგენა საპროექტო განაცხადთან ერთად.

დაინტერესებულ მხარეთა დიაგრამა



4.3. დაინტერესებული მხარეები პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე

პროექტის ამ ეტაპზე დაინტერესებულ მხარეთა დადგენა წარმოებს ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო ინსტიტუტებიდან, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ ცხრილში არის ასახული. პროექტის გეგმისა და პოლიტიკის შემუშავების კომპონენტის გათვალისწინებით, საერთაშორისო / რეგიონულ. ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე გულდასმით შეირჩევა არასამთავრობო ორგანიზაციები, თემზე დაფუძნებული ორგანიზაციები, პალატები / გაერთიანებები, სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, გადაზიდვების, აკვაკულტურისა და წყლის მართვის საკითხებზე.

დაინტერესებული მხარე	პროექტის კავშირი	დაინტერესებულ მხარეთა კატეგორია	ტერიტორიული განაწილება	პროექტთან შესაბამისობა
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ზემოქმედების ქვემყოფი / დაინტერესებული	სახელმწიფო დაწესებულება	ეროვნული	<ul style="list-style-type: none"> ეროვნული და რეგიონული გეგმების რესურსების მიმწოდებელი. ეროვნული გეგმების განმახორციელებელი.
მოდლოვის სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო	ზემოქმედების ქვემყოფი / დაინტერესებული	სახელმწიფო დაწესებულება	ეროვნული	
თურქეთის გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის სამინისტრო	ზემოქმედების ქვემყოფი / დაინტერესებული	სახელმწიფო დაწესებულება	ეროვნული	
თურქეთის სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის სამინისტრო	ზემოქმედების ქვემყოფი / დაინტერესებული	სახელმწიფო დაწესებულება	ეროვნული	
უკრაინის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	ზემოქმედების ქვემყოფი / დაინტერესებული	სახელმწიფო დაწესებულება	ეროვნული	
ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისია (GFCM)	დაინტერესებული	საერთაშორისო ორგანიზაცია	რეგიონული	ეროვნული და რეგიონული გეგმების რესურსების მიმწოდებელი.
შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კომისიასთან არსებული შავი ზღვის კომისია	დაინტერესებული	საერთაშორისო ორგანიზაცია	რეგიონული	ეროვნული და რეგიონული გეგმების რესურსების მიმწოდებელი.

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი	ზემოქმედების ქვემყოფი / დაინტერესებული	საერთაშორისო ორგანიზაცია	რეგიონული	დაბინძურების შემცირებისა და პრევენციული ინვესტიციების რეკომენდაციების განმახორციელებელი და რესურსების მიმწოდებელი
შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ბიზნესის საბჭო	ზემოქმედების ქვემყოფი / დაინტერესებული	საერთაშორისო ორგანიზაცია	რეგიონული	დაბინძურების შემცირებისა და პრევენციული ინვესტიციების რეკომენდაციების განმახორციელებელი და რესურსების მიმწოდებელი
გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი	დაინტერესებული	საერთაშორისო ორგანიზაცია	საერთაშორისო	დამფინანსებელი
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა	დაინტერესებული	საერთაშორისო ორგანიზაცია	საერთაშორისო	ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება, საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილება.
ევროპის კომისია	დაინტერესებული	საერთაშორისო ორგანიზაცია	საერთაშორისო	ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება, საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილება.
Plastics Europe	დაინტერესებული	არასამთავრობო ორგანიზაცია	საერთაშორისო	რეგიონული გეგმების რესურსების მიმწოდებელი

5. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა

5.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამის მიზანი

პროექტის ფლობა მთავარი დაინტერესებული პირების მიერ სასიცოცხლოდ აუცილებელია პროექტის წარმატებული განხორციელებისათვის. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა ისე არის შემუშავებული, რომ უზრუნველყოს:

- პროექტის ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს პროექტს ჰქონდეს უკუკავშირი ანუ მიიღოს გამოხმაურებები, წინადადებები და/ან საჩივრები დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებიდან;
- დაინტერესებულ პირთა მიერ პროექტის ფლობის მდგრადობა.

პროექტის განმახორციელებელი გუნდი შეასრულებს ჩართულობის აქტივობებს როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. იგი გამოიყენებს სხვადასხვა მეთოდებს დაინტერესებულ პირთა ჯგუფების მახასიათებლების გათვალისწინებით პროექტის ყველა ფაზაში: პროექტის მომზადება, განხორციელება, მონიტორინგი და დახურვა, მთელი პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დაინტერესებულ პირებთან ურთიერთკავშირის აღმრიცხველ დოკუმენტაციას. პროექტი გამოიყენებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სარეგისტრაციო ჟურნალს რათა ჩაიწეროს

და თვალყური ადევნოს მათ ურთიერთკავშირებს. სარეგისტრაციო ჟურნალი ცოცხალი ინსტრუმენტია, რომელიც გადახედვასა და განახლებას საჭიროებს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი დაინტერესებული მხარე ერთვება პროექტში, როდესაც ცვლილებაა ნებისმიერი დაინტერესებული მხარის პოზიციაში ან ჩართულობის თითოეული აქტივობის შემდეგ. პროექტის განმახორციელებელი გუნდი ამ ჟურნალს მონიტორინგის ინსტრუმენტად გამოიყენებს, რათა თვალყური ადევნოს და ჩაიწეროს დაინტერესებულ მხარეთა პოზიციის ცვლილება და აღმოფხვრილი პრობლემები. იგი უშუალოდ დაეხმარება პროექტის მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს.

გაფართოებული რეგიონული დიალოგი და თანამშრომლობა ამ პროექტის ერთერთი მთავარი სასურველი შედეგია. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე შექმნის სამ ორგანოს, სადაც შევლენ ეროვნული და საერთაშორისო დონის მთავარი დაინტერესებული მხარეები. პროექტების მართვაში მათი როლის გარდა, ეს ორგანოები ასევე მოემსახურებიან ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო დონის მთავარი დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. ისინი უზრუნველყოფენ ძირითად დაინტერესებულ მხარეთა შორის ინფორმაციის დროულ და უწყვეტ რეჟიმში გაცვლას, მაგალითად, როგორცაა პროექტის განახლება, საუკეთესო გამოცდილება. პროექტის განმახორციელებელი გუნდი წარადგენს მოკლე ინფორმაციას პროექტის მსვლელობის შესახებ ამ შეხვედრების დასაწყისში, სადაც ცალკე განყოფილება იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ეფექტიანობის შესახებ.

- **რეგიონული საორგანიზაციო კომიტეტი:** რეგიონული საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ შესაბამისი ეროვნული სამინისტროების წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკის კურსის დონესა და სტრატეგიულ ხელმძღვანელობას.
- **მმართველი საბჭო:** მასში შევლენ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და ეროვნული სააგენტოები. ეროვნული სააგენტოები მოიცავენ საქართველოს გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოლდოვის სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს, თურქეთის გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის სამინისტროს, თურქეთის სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის სამინისტროს და უკრაინის ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროს.
- **საკონსულტაციო კომიტეტი:** მსოფლიო ბანკი, შავი ზღვის კომისია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა, ევროკომისია; ბიზნესის ორგანიზაციები (მაგ. Plastic Europe); ბანკი (ბანკები) (შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი); შავი ზღვის გალურჯების პროგრამის სპეციალური დესპანი/წარმომადგენელი.

5.2. სტრატეგიული ჩართულობის პრინციპები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესები ამ პროექტისათვის დაფუძნებული იქნება შემდეგ ძირითად პრინციპებზე. ეს პრინციპები შესაძლებლობას მისცემენ პროექტის განმახორციელებელ გუნდს წარმართოს ღია,

კონსტრუქციული, ინკლუზიური და ურთიერთპატივისცემაზე აგებული დიალოგი და ამასთანავე, დაამყაროს სამუშაო ურთიერთობა ყველა შესაბამის დაინტერესებულ პირთან.

- **მიზანმიმართული გეგმა:** შეიმუშავეთ ჩართულობის ეფექტიანი გეგმა და მიჰყევით მას.
- **თანამიმდევრულობა და შეთანხმებულობა:** უზრუნველყავით ჩართულობის აქტივობების/ ღონისძიებების თანამიმდევრულობა და შეთანხმებულობა პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.
- **მნიშვნელოვანი ინფორმაცია:** გაამჟღავნეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებში, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ და ინფორმირებულ ჩართულობას.
- **ინკლუზიური:** დაადგინეთ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე, მათი გავლენის, დონე, როგორ ზემოქმედებას ახდენს მათზე პროექტი და გაუმარტივეთ მათ პროექტში ჩართულობა.
- **მრავალარხიანი:** გამოავლინეთ სხვადასხვა არხი, ინსტრუმენტები და მასალები, რომლებიც კულტურიდან გამომდინარე მისაღები და ხელმისაწვდომია ყველა განსხვავებული დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებისათვის.
- **დროული:** თავიდანვე ჩართეთ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები და შეთანხმდით როდის და როგორ ჩაერთვებიან.
- **სუბსიდიარულობა:** ჩართეთ მონაწილეები არამარტო ონლაინ მექანიზმების საშუალებით, არამედ ადგილობრივადაც შეეცადეთ მათ ჩართვას.
- **გამჭვირვალე:** ხელი შეუწყეთ გამჭვირვალეობისა და ინფორმაციის გაზიარების კულტურის დანერგვას დაინტერესებულ მხარეებში და აცნობეთ, თუ რა გავლენას მოახდენს პროექტზე მათი წვლილი.
- **თავაზიანი:** აღიარეთ და პატივი ეცით დაინტერესებულ მხარეთა გამოცდილებას, პერსპექტივებს, ცოდნასა და საჭიროებებს და ხელი შეუწყეთ ურთიერთ სწავლების კულტურის ჩამოყალიბებას.

5.3. ინფორმაციის გამჟღავნების შეთავაზებული სტრატეგია

სხვადასხვა ფაზის დროს პროექტი დაინტერესებული მხარეებისათვის ამჟღავნებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- პროექტის შინაარსი და დოკუმენტაცია
- გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაცია; ტექნიკური დავალება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისათვის, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიში, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა, დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ჩარჩო დოკუმენტი, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, შრომის მართვის პროცედურები
- საჩივრების განხილვის მექანიზმები

- განცხადება ეკო-ინოვაციის გამოწვევის კონკურსის შესახებ, განაცხადის შეტანის პროცედურები, შეფასების შედეგები
- განცხადება გრანტის შესახებ, განაცხადის შეტანის პროცედურები, შეფასების შედეგები
- პროექტის მსვლელობის შესახებ ინფორმაციის განახლება
- პროექტის შუალედური შედეგები: უმოქმედობის ანალიზის ღირებულება, ეროვნული გეგმები და ა.შ.

მომზადდება წერილობითი მასალები. დოკუმენტების შინაარსი, ფორმატი და ენა ადაპტირებული იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების შესაბამისად.

პროექტის დაწყებასთან ერთად, დაინტერესებულ მხარეებისათვის თითოეულ ქვეყანაში საპროექტო გუნდისა და ექსპერტების მონაწილეობით გაიმართება პროექტის ვირტუალური გახსნის დღე. ამგვარად, დაინტერესებული პირებისათვის შეიქმნება ხელსაყრელი პლატფორმა, რომ დასვან შეკითხვები პროექტის შესახებ, შეხვდნენ საპროექტო გუნდსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, ეს ღონისძიება აგრეთვე დაეხმარება. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს პროექტს, რომ გააფართოვოს დაინტერესებულ პირთა ჯგუფი და ცხადად წარმოაჩინოს პროექტის მნიშვნელობა. პროექტის განმახორციელებელი გუნდი მოაწყობს ყოველწლიურ ეროვნულ და საერთაშორისო დია კარის დღის ღონისძიებებს ვირტუალურად ან პირისპირ, COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე.

დაინტერესებული მხარეებისათვის გასამყდავებელ ინფორმაციას მიეკუთვნება პროექტის შუალედური შედეგები, როგორცაა ანგარიში უმოქმედობის ანალიზის შესახებ, ეროვნული გეგმები, ეკო-ინოვაციური გამოწვევისა და საგრანტო სქემების კონკურსები და შედეგები.

ინფორმაციის გამყდავების ვადები და მეთოდები შესაძლოა განსხვავებული იყოს დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ძირითადი გასამყდავებელი ინფორმაცია პროექტის ფაზების მიხედვით. შემდგომში, ეს ინფორმაცია უფრო დეტალურად იქნება მოცემული კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმების მიხედვით.

პროექტის სტადია	გასამყდავნებელი ინფორმაცია	დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები	შეთავაზებული მეთოდები	ვადები
დაგეგმვა და მომზადება	<ul style="list-style-type: none"> პროექტის შინაარსი გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაცია (ტექნიკური დავალება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისათვის, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო, დაინტერესებულ პირთა ჩართულობის ჩარჩო დოკუმენტი, შრომის მართვის პროცედურები) ხელმისაწვდომობა გასაჩივრების მექანიზმებზე 	სამინისტროები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, ეროვნული/საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რეგიონული ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> ოფიციალური მიმოწერა ელექტრონული ფოსტა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ვირტუალური ცოდნის ვებგვერდი შეხვედრები ვიდეო კონფერენციების საშუალებით ვირტუალური შეხვედრები ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე 	2021 წლის ბოლოს
განხორციელება	<ul style="list-style-type: none"> პროექტის შინაარსი პროექტის შეფასების დოკუმენტი გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების დოკუმენტაცია გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის ანგარიშები 	სამინისტროები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, ეროვნული/საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რეგიონული ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები,	<ul style="list-style-type: none"> კომიტეტების შეხვედრები ვიდეო-კონფერენციის საშუალებით შეხვედრები ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან პირისპირ შეხვედრები განცხადებები რადიოს, ტელევიზიის, პრესისა და სოციალური მედიის საშუალებით 	

	<ul style="list-style-type: none"> პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის განახლება ტრენინგები, სემინარები განცხადება ეკო-ინოვაციის გამოწვევის გამოწვევის კონკურსის შესახებ, განაცხადის შეტანის პროცედურები, შედეგები განცხადება გრანტის შესახებ, განაცხადის შეტანის პროცედურები, შედეგები პროექტის შუალედური შედეგები: უმოქმედობის ანალიზის ღირებულება, ეროვნული გეგმები, საინვესტიციო რეკომენდაციები 	<p>თემები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები/ ადგილობრივი თემზე დაფუძნებული ორგანიზაციები, ეროვნული და ადგილობრივი საწარმოები, უნივერსიტეტები, სამეცნიერო დაწესებულებები</p>	<ul style="list-style-type: none"> სემინარები ვირტუალური ღია კარის დღეები შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ვებგვერდები და გვერდები სოციალური მედიაში ფოკუს ჯგუფების შეხვედრა სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან 	
დახურვა	<ul style="list-style-type: none"> პროექტის მიმდინარეობა და საბოლოო ანგარიში პროექტის შედეგები 	<p>ყველა დაინტერესებული მხარე</p>	<ul style="list-style-type: none"> პრეს რელიზები განცხადებები ვებ-გვერდებზე ელექტრონული ფოსტა დახურვის ღონისძიება 	

პროექტი აღიარებს პროექტის სფეროში მოქმედ დაინტერესებულ მხარეებში არსებულ კულტურულ, სოციალურ-ეკონომიკურ, ენობრივ და საგანმანათლებლო სახის განსხვავებებს. პროექტი უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებული მხარეთა ჯგუფიდან გამომდინარე, მათთვის მომზადდეს და მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია შესაბამის ენაზე. ძირითადი დოკუმენტები და ინტერაქციის/ ურთიერთკავშირის ტიპები ისეთ დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებსაც თარგმანი სჭირდებათ, განსაზღვრული იქნება თითოეული ქვეყნისათვის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამის მომზადების პერიოდში.

ყველა გასავრცელებელი დოკუმენტი, ისევე როგორც პროექტის შედეგების დოკუმენტები, გამოქვეყნებული იქნება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ვირტუალური ცოდნის ვებგვერდზე: <http://www.bsec-bsvkc.org/Forms/BlueingTheBlackSeaProject>

პროექტის განმახორციელებელი გუნდი ყველა დაინტერესებულ მხარეს გააცნობს, როგორ უნდა მიიღონ წვდომა დოკუმენტებზე და გაიზიარონ ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია.

გამომდინარე COVID-19 პანდემიური სიტუაციიდან გამოწვეული ეროვნული მთავრობების მიერ დაწესებული პერიოდული შეზღუდვებიდან, როგორცაა შეზღუდვები საზოგადოებრივ შეკრებებზე, შეხვედრებსა და ადამიანთა გადაადგილებაზე, მოიძებნება კონსულტაციების ჩატარებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ალტერნატიული გზები, რომლებიც შესაბამისობაში იქნებიან ადგილობრივ კანონმდებლობასთან, პოლიტიკასა და ფიზიკურ დისტანცირების ნორმებთან, რათა შემსუბუქდეს ვირუსის გადაცემა. პროექტი შეარჩევს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ისეთ მეთოდებს, რომლებიც ადგილობრივ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციასთან შესაბამისი იქნებიან.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან მიმართებაში ეს ალტერნატიული მიდგომა მოიცავს: ონლაინ არხებით (მაგალითად, Webex, Zoom, Skype და ა.შ.) შეხვედრების ჩატარების გონივრულ ძალისხმევას, კომუნიკაციების მრავალმხრივ საშუალებებსა და სოციალური მედიის, ჩათ-ჯგუფების, სპეციალიზირებული ონლაინ პლატფორმებისა და მობილური აპლიკაციების (როგორებიცაა, Facebook, Twitter, Instagram, Viber, WhatsApp ჯგუფები, პროექტის ვებ-ბმულები/ვებგვერდები და აშ.) უფრო ფართო გამოყენებას.

ქვეყანაში არსებული Covid-19 გამომდინარე სიფრთხილის ზომებზე დაყრდნობით პროექტის განმახორციელებელმა გუნდმა შესაძლოა განიხილოს პირისპირ შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ადგილობრივ მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან, როგორებიცაა თევზჭერა/აკვაკულტურის კოოპერატივები, სოფლის მეურნეობის განვითარების კოოპერატივები, ტურისტული ორგანიზაციები და ა.შ. რათა გააცნოს მათ პროექტი, პროექტის შინაარსი, საკონსულტაციო პროცესი და ამასთანავე, პერიოდულად მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ. თუ არ არის პირისპირ შეხვედრების შესაძლებლობა, უნდა გამოიძებნოს ალტერნატიული ვირტუალური საშუალებები.

პროექტის მთავარ კომპონენტებს ეკო-ინოვაციური გამოწვევის კონკურსი და გრანტები წარმოადგენენ. პროექტის განმახორციელებელმა გუნდმა უნდა უზრუნველყოს, რომ განცხადება საკონკურსო და საგრანტო წინადადებისათვის იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის და გამოიყენოს

შესაბამისი საკომუნიკაციო არხები, მათ შორის, მედია, გაზეთები, სოციალური მედია, ადგილობრივი და ეროვნული ქსელები პოტენციური აპლიკანტები სა და დაინტერესებული მხარეებისათვის. პროექტის განმახორციელებელი გუნდი ასევე განიხილავს ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე საინფორმაციო კრებების ჩატარების შესაძლებლობას პროგრამების, განაცხადების პროცედურებისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობის მიზნით. ადგილობრივი დონეზე ჩართულობა აუცილებელია ადგილობრივი ორგანიზაციებიდან განაცხადების მიღების წასახალისებლად.

მთელი ინფორმაცია ეკო-ინოვაციური გამოწვევის კონკურსისა და გრანტების შესახებ განთავსებული იქნება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ვირტუალური ცოდნის ცენტრში. ვებგვერდზე წარმოდგენილი იქნება განაცხადების შეტანის პროცესთან დაკავშირებული სპეციალური სექცია „კითხვები და პასუხები“. აპლიკანტებს შესაძლებლობა ექნებათ ელექტრონული ფოსტის ან შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ვირტუალური ცოდნის ცენტრის ინტერფეისის საშუალებით დასვან კითხვები განაცხადების შეტანისა და შეფასების პროცესებთან დაკავშირებით. ყველა გაგზავნილი შეკითხვა და მათზე გაცემული პასუხი გამოქვეყნდება ხსენებულ დასმული კითხვებიდან გამომდინარე პროექტის განმახორციელებელი გუნდი განიხილავს ასევე ონლაინ განმარტებით შეხვედრებსაც.

პროექტი წერილობით აცნობებს ეკო-ინოვაციური გამოწვევის კონკურსისა და გრანტების სქემების აპლიკანტებს მათი განაცხადის შეტანის შედეგების შესახებ. შედეგები აგრეთვე განთავსდება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ვირტუალური ცოდნის ცენტრში.

პროექტის განმახორციელებელი გუნდი მიზნად ისახავს გაიზიაროს ეკო-ინოვაციური გამოწვევის კონკურსისა და გრანტების ერთობლივი და გამჭვირვალე პროცესი. ეს შესაძლოა მოიცავდეს შეფასების კრიტერიუმების დადგენას მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ან შეფასების კომიტეტის შექმნას, რომელშიც შევლენ ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო დაინტერესებულ პირთა წარმომადგენლები.

5.4. კონსულტაციების სტრატეგია

პროექტს თემებისა და დოკუმენტების ფართო სპექტრი გააჩნია, რომელიც დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციას მოითხოვს. პროექტის მომზადების ფაზაში პროექტის შინაარსი და გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტები გადაეცემათ დაინტერესებულ მხარეებს მათი გამოხმაურებისა და მათგან წინადადებების მიღების მიზნით. პროექტი ამ ეტაპზე გამოიყენებს სხვადასხვა მეთოდებს, მათ შორის, ვირტუალურ შეხვედრებს, ინდივიდუალურ ინტერვიუებს, გამოკითხვებსა და ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებს.

გეგმის/ პოლიტიკის შემუშავების კომპონენტის საფუძველზე, პროექტი შესაძლოა განხილული იყოს როგორც მაკრო დონის სამუშაოდ, რომელიც ამ გეგმის/პოლიტიკის შესრულების შემთხვევაში ზემოქმედებას მოახდენს თემებსა და მათი არსებობის საშუალებებზე. აქედან გამომდინარე, ერთობლივი საჭიროებების ანალიზი და გეგმის შემუშავება სასიცოცხლოდ აუცილებელია პროექტის წარმატებისათვის.

პროექტის განმახორციელებელი გუნდი უზრუნველყოფს, რომ წარმომადგენლები ზემოქმედების ქვეშ მყოფი სათემოებიდან, კერძოდ, მწარმოებლებიდან, მეთევზეებიდან, სოფლის ტურიზმით დაკავებულებიდან და გადამზიდავებიდან, ასევე სოციალურად დაუცველი ჯგუფებიდან შენარჩუნებული იყვნენ ჯერ ეროვნულ დონეზე და შემდგომში, პროექტის მოცულობის დაზუსტებისას, უკვე ადგილობრივ დონეზეც. ეს ჩართულობა განხორციელდება აღნიშნული ჯგუფების ეროვნული დონის ორგანიზაციების, როგორცაა პალატები, გაერთიანებები/ კავშირები, საშუალებით და შემდგომში, თითოეული ქვეყნიდან გამომდინარე, ადგილობრივი დონის ორგანიზაციებით. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭებათ ადგილობრივ სააგენტოებს. პროექტის განმახორციელებელი გუნდი ეროვნულ სააგენტოებს გაუწევს ტექნიკურ დახმარებას მათი (სააგენტოების) რესურსებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

5.5. სოციალურად დაუცველი ჯგუფების შეხედულებების გათვალისწინების სტრატეგია

არახელსაყრელ პირობებში მყოფი ან დაუცველი არის ის ხალხი, რომლებიც უფრო მეტ უარყოფით ზეგავლენას მიიღებს პროექტის ზემოქმედებით და/ან სხვებზე მეტად შეზღუდულია საკუთარ შესაძლებლობაში, რომ ისარგებლოს პროექტის უპირატესობით. ასეთი პიროვნება/ჯგუფი ასევე სავარაუდოდ, უფრო მეტად იქნება გარიყული კონსულტაციის ძირითადი პროცესებისაგან/ ან ვერ შეძლებს მასში სრულად მონაწილეობის მიღებას, რისთვისაც მას/ მათ შესაძლოა სპეციალური ზომების მიღება და/ ან დახმარება დასჭირდეთ.

პროექტის რეგიონულობისა და მისი პოლიტიკის/ გეგმის შემუშავების კომპონენტიდან გამომდინარე, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები, როგორც არიან ადგილობრივი არასამთავრობოები და ადგილობრივი თემები სოციალურად დაუცველ ჯგუფებში უნდა განიხილებოდნენ. მათში შესაძლოა შედიოდნენ, სხვებთან ერთად შემდეგი ჯგუფები:

- ოჯახები, რომელთა საარსებო საშუალებები ძირითადად ზღვასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე არიან დამოკიდებული, მაგალითად, მეთევზეობაზე;
- შინამეურნეობები, რომლებსაც ქალები უძღვებიან;
- მიგრანტი მუშები;
- ლტოლვილები;
- იძულებით გადაადგილებული პირები;
- კონკრეტულ სექტორში მომუშავე პირები, რომლებიც დაბინძურების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
- ხანდაზმულები;
- ეთნიკური უმცირესობები;
- ახალგაზრდები;
- ბავშვები და ა.შ.

ეკო-ინოვაციური გამოწვევის კონკურსისა და გრანტების კომპონენტის გათვალისწინებით, ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოები, ქალების

მფლობელობაში მყოფი მცირე და საშუალო საწარმოები და ახალგაზრდა მეწარმეები წარმოადგენენ იმ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ ზომებს მათი პროექტის აქტივობებში ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით.

კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა დაადგენს სხვა დაუცველ ჯგუფებს და გარკვეული ჯგუფებისადმი დიფერენცირებული მიდგომის საჭიროებას.

პროექტის აქტივობებში დაუცველი ჯგუფების ჩართვაში, პროექტი აირჩევს პროაქტიურ მიდგომას, რომელიც დაიწყება ადგილობრივ დონეზე დაინტერესებული მხარეების გულმოდგინე შერჩევით. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიზნეს ასოციაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვას კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში და ჩართულობის დამატებითი ინსტრუმენტები, როგორცაა ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები, ინდივიდუალური ინტერვიუები განკუთვნილი იქნება იმ პირებისათვის, რომლებიც არ იქნებიან წარმოდგენილები ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების საშუალებით.

6. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამის როლი, პასუხისმგებლობა და რესურსები

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო ჩამოაყალიბებს პროექტის გუნდს, რომელშიც შევა პროექტის ერთი მენეჯერი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციიდან და ცხრა თანამშრომელი, რომლებსაც სპეციალურად ამ პროექტისათვის დაიქირავებენ, მთლიანობაში ასეთი იქნება პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის შემადგენლობა.

პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი პასუხისმგებელია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამის განხორციელებაზე და პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმზე.

რეგიონულ საორგანიზაციო კომიტეტსა და მმართველ საბჭოს ექნებათ პროექტის განხორციელების მონიტორინგის როლი. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი, რეგიონული საორგანიზაციო კომიტეტი და მმართველი საბჭო განიხილავენ და დაადგენენ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებს.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განსახორციელებლად ბიუჯეტი დაიგეგმება პროგრამული უზრუნველყოფის შესამუშავებლად, სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა ჩართულობის აქტივობებისათვის, საკომუნიკაციო და თვალსაჩინო მასალებისა და ღონისძიებებისათვის. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამის ყველა ღონისძიებისათვის სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 219.500 აშშ დოლარს. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ბიუჯეტის განაწილება.

აქტივობა	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (აშშ დოლარებში)	მთლიანი ღირებულება (აშშ დოლარებში)
ღონისძიებები & შეხვედრები				
ციფრული პლატფორმების გამოწერა პროექტის ვირტუალური გახსნის დღისა და დაინტერესებულ მხარეთა სხვა ვირტუალური შეხვედრებისათვის	ყოველწლიურად	4	500	2.000
ეროვნულ და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ყოველწლიური ღონისძიებები	ყოველ ღონისძიებაზე	12	3.500	42.000
ვიზიტი საგრანტო პროექტებზე დაინტერესებულ მხარეთა მონიტორინგის მიზნით	ყოველ ვიზიტზე	8	5.000	40.000
პროექტის დახურვის ღონისძიება (4 ეროვნული დონე)	ყოველ ღონისძიებაზე	4	10.000	40.000
გეგმის შემუშავება/ დიზაინი და ბეჭდვა				
საკომუნიკაციო მასალები (ინფოგრაფიკა, ვიზუალური მასალა, პოსტერები, ბროშურები და ა.შ.)	ერთდროული გადახდა	1	10.000	10.000
მასალები გასაჩივრების მექანიზმისათვის (მათ შორის, გასაჩივრების ფორმა)	ერთდროული გადახდა	1	2.500	2.500
მომსახურება				
საკომუნიკაციო მასალებისა და გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაცია	ყოველ ქვეყანაზე	4	3.000	12.000
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამული უზრუნველყოფა	ყოველ მომსახურებაზე	1	20.000	20.000
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ეფექტიანობის მონიტორინგი მესამე მხარის მიერ	ყოველ მომსახურებაზე	1	28.000	28.000
პროექტის თანამშრომლების, მთავარი დაინტერესებული მხარეების და კონტრაქტორების/გრანტის ამღებთა ტრენინგი გასაჩივრების მექანიზმების საკითხებზე	ყოველ სწავლებაზე	4	2.000	8.000
გაუთვალისწინებელი ხარჯები				15.000
ჯამი				219.500 რი

საგრანტო პროექტებს, რომელთაც მაღალი ურთიერთკავშირების/ ინტერაქციის სიხშირე აქვთ ანუ ხშირად ურთიერთობენ საზოგადოებასთან, რომლებსაც გააჩნიათ ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და გარემოსდაცვითი ზემოქმედება და რომელთა ხანგრძლივობა ექვს თვეზე მეტია, საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთი თანამშრომელი მაინც უნდა ჰყავდეთ,

რომელიც პასუხისმგებელი იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელებაზე და პერიოდულად ანგარიშვალდებული იქნება და ანგარიშს ჩააბარებს პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს.

კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მომზადება, გავრცელება და კონსულტაციები უნდა განხორციელდეს სანამ ბენეფიციარ ქვეყნებში საპროექტო აქტივობები დაიწყება. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია პასუხისმგებელია კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მომზადებაზე.

7. გასაჩივრების მექანიზმი

პროექტის მოცულობიდან გამომდინარე, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი ელოდება უფრო მეტად უკუკავშირს, გამომხაურებებს, ვიდრე საჩივრებს, დაკავშირებულს კომპონენტი 1-ის დონისძიებებთან. კარგად გააზრებული და სტრუქტურირებული ინფორმაციის გამჟღავნება და საკონსულტაციო გეგმები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროექტის ამ კომპონენტისათვის.

პროექტი იწყებს ღია და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ დიალოგს ყველა დაინტერესებულ მხარესთან და მიესალმება გამომხაურებებს/ უკუკავშირს თემის წევრების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესის, მთავრობისა და სამრეწველო ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან. გამომხაურება შესაძლოა მოიცავდეს კითხვებს, კომენტარებს, ინფორმაციის მოთხოვნას, პრობლემებსა და საჩივრებს. ყველა გამომხაურება იქნება დოკუმენტირებული და პასუხგაცემული. ზოგიერთ გამომხაურებაში შეიძლება გამოვლინდეს საჩივარი. ასეთ შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი იწყებს გასაჩივრების პროცედურას.

შრომითი დავები/ საჩივრები უფრო ხშირად წარმოიშვება პროექტის მეორე კომპონენტის განხორციელების დროს, როცა ტარდება ტრენინგები, ცნობიერების ამაღლების კამპანიები, ფინანსდებიან საგრანტო პროექტები და იწყება პროექტის განხორციელება. პროექტის განხორციელებასთან ერთად, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი იწყებს გასაჩივრების პროცედურის შემუშავებასა და განხორციელებას. გასაჩივრების პროცესის მექანიზმი წარედგინება ყველა დაინტერესებული მხარეს, გრანტის მიმღები პირებისა და საგრანტო პროექტების დაინტერესებული მხარეების ჩათვლით.

მიზანი

პროექტს ექნება გამჭვირვალე და მიუკერძოებელი გასაჩივრების მექანიზმი, რათა:

- რაც შეიძლება სწრაფად გამოავლინოს პრობლემები და სადავო საკითხები მათი დროულად და პროაქტიულად გადაჭრის მიზნით;
- მუდმივად გააუმჯობესოს პროექტის ეფექტიანობა;
- აჩვენოს პროექტის ვალდებულება დაინტერესებული მხარეების არსებითი ჩართულობის მიმართ და ყურადღებით მოეკიდოს დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებსა და პრობლემებს.

პრინციპები

პროექტს ექნება გასაჩივრების პროცედურა დაფუძნებული შემდეგ ძირითად პრინციპებზე:

- ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას შეუძლია გამოთქვას შემფოთება, პრეტენზია და საჩივარი სამაგიეროს გადახდისა და შურისძიების შიშის გარეშე.
- ყველა საჩივარი სამართლიანად და შესაბამისი პატივით იქნება განხილული.
- საჩივრის მიღების შემთხვევაში პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი დაინტერესებულ მხარეს მის მიღებას წერილობით დაუდასტურებს ხუთ (5) სამუშაო დღეში. ამ დროისათვის დაინტერესებულ მხარეს უკვე ექნება ინფორმაცია პასუხი გაცემის ვადის, შემდგომი ნაბიჯებისა და პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის საკონტაქტო პირის მონაცემების შესახებ. საჩივრები გადაწყდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
- გასაჩივრების სრული პროცესი (საჩივრის მიღება, გამოძიება და გადაწყვეტა) იქნება თანამიმდევრული და გამჭვირვალე.
- ინფორმაცია საჩივრის თაობაზე (და მასთან დაკავშირებულ გამოძიებასა და გადაწყვეტილებებზე) დოკუმენტურად გაფორმდება.
- პერსონალური ინფორმაცია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული პირის შესახებ კონფიდენციალური იქნება. საჭიროებისამებრ, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი პატივისცემით მოუპყრობა კონფიდენციალურობის შესახებ სხვა მოთხოვნებსაც. ნებადართულია ანონიმური საჩივრების წარდგენა. გასაჩივრების მექანიზმი ასევე მიიღებს საჩივრებს სექსუალურ ძალადობასთან, სექსუალურ ექსპლუატაციასთან და ძალადობასთან დაკავშირებით.
- საჩივრები, რომელიც შეეხება პროექტის საქმიანობას, პროექტის მართვას, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის საქმიანობას ან კონტრაქტორს, გრანტის მიმღები პირის საქმიანობების ჩათვლით, ჩაბარდება გასაჩივრების მექანიზმის საშუალებით.
- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დაინტერესებულ მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ მსოფლიო ბანკის საჩივრების განხილვის მექანიზმს და/ ან ისარგებლონ სამართლებრივი დაცვის გარე საშუალებებით.

ჩაწერა, აღრიცხვა და მონიტორინგი

რადგანაც საჩივრები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ნაწილს წარმოადგენს, პროექტს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამულ უზრუნველყოფაში ექნება სპეციალური ინტერფეისი როგორც საჩივრებისათვის, ასევე უკუკავშირისათვის/ გამომხმარებებისათვის. ეს დაეხმარება საჩივრების სისტემატურ მართვას საჩივრებზე რეაგირების დროიდან გამომდინარე. მსოფლიო ბანკს, გლობალურ გარემოსდაცვით ფონდსა და რეგიონულ საორგანიზაციო კომიტეტს ექნებათ წვდომა პროგრამულ უზრუნველყოფაზე, სადაც მათ შეუძლიათ იხილონ სტატისტიკა და გასაჩივრების მართვის ეფექტიანობა.

პროექტის ყველა თანამშრომელს გრანტის მიმღები პირების ჩათვლით ჩაუტარდება ცნობიერების ამაღლების სემინარი გასაჩივრების მექანიზმის საკითხებზე. პროექტის თანამშრომლებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის შეცნობა, რომ გასაჩივრების მექანიზმი ერთერთი უძლიერესი ინსტრუმენტია დაინტერესებული მხარეებისაგან მათი შეხედულებებისა და პრეტენზიების მისაღებად, რომელიც თავის მხრივ, პროექტის მიერ მიყენებული ნებისმიერი ზემოქმედების მართვისა და შერბილების საშუალებას იძლევა. პროექტი დაადგენს ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებს, საჩივრების მართვის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის.

პროცესი

გასაჩივრების მექანიზმი წარედგინება ყველა დაინტერესებულ მხარეს და განმარტებული იქნება, თუ რისთვის და ვისთვის არის ეს მექანიზმი, რა პრინციპებით იმოქმედებს, როგორ შეუძლია დაინტერესებულ მხარეს პრობლემის წამოჭრა/საჩივრის აღძვრა და როგორ არის შესაძლო ამ პრობლემის/საჩივრის გადაწყვეტა (ეტაპების მიხედვით). საგრანტო პროექტების დაინტერესებულ მხარეებს მკაფიო განმარტება მიეცემათ ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესახებ.

საჩივრის ფორმები ონლაინ გამოქვეყნდება და ასევე საჭიროებისამებრ, დაიბეჭდება და გავრცელდება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებში. აღნიშნული ფორმები 6 ენაზე იქნება წარმოდგენილი: ინგლისურ, ქართულ, მოლდოვურ, თურქულ, უკრაინულ და რუსულ ენებზე.

საჩივრების მართვა განხორციელდება ხუთ ეტაპად.



ეტაპი 1 - მიღებული გამომხაურებები/ უკუკავშირი: დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გადასცენ პროექტთან დაკავშირებული თავიანთი გამომხაურებები მრავალმხრივი საშუალებით; სიტყვიერად - შეხვედრების დროს, ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის ან ოფიციალური მიმოწერის გზით. ნებისმიერ შემთხვევაში, პროექტის განმანხორციელებელი ჯგუფი უზრუნველყოფს მის დოკუმენტირებას, ჩართულობას და მასზე რეაგირებას საჭიროების შემთხვევაში. ზოგ შემთხვევაში, პროცესმა შესაძლოა გამოავლინოს საჩივარი. ასეთ დროს, დაიწყება უკვე ეტაპი 2. პროექტის განმანხორციელებელი ჯგუფი ამ შეკითხვებზე რეაგირებას მოახდენს ხუთ (5) სამუშაო დღეში.

ეტაპი 2 - რეგისტრირებული საჩივრები: როდესაც საჩივარი დადგენილია, ხდება მისი ოფიციალური რეგისტრაცია და ეძლევა უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი. ის კლასიფიცირებულია საჩივრის ტიპისა და სიმძიმის მიხედვით. პირველადი

რეაგირება ეგზავნება პირს (პირებს) ვინც შეიტანა საჩივარი, უდასტურებს აღნიშნულ პირს (პირებს) მათი საჩივრის მიღებას/უკუკავშირს და აღწერს, გასაჩივრების პროცესის შემდგომ ნაბიჯებს, ამ ნაბიჯებისათვის საჭირო დროსა და გამოყოფილ საკონტაქტო პიროვნებას.

ეტაპი 3 - საკითხის გამოძიების დასრულება და გადაწყვეტილების შეთავაზება: პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი გამოიკვლევს საჩივარს და მასთან დაკავშირებულ გარემოებებს. ეს კვლევა ჩატარდება დროულად. მისი შედეგები განხილული იქნება და შეთავაზებული იქნება გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების შემუშავების პროცესში შეიძლება საჭირო გახდეს კონსულტაცია საჩივრის წარმდგენ დაინტერესებულ მხარესთან (მხარეებთან) და ზოგიერთ შემთხვევაში, დამოუკიდებელ მესამე მხარესთან. შეთავაზებული გადაწყვეტილება ოფიციალურად უნდა ეცნობოს ყველა დაინტერესებულ მხარეს. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი დაასრულებს პროცესს და უპასუხებს მომჩივანს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

ეტაპი 4 - გადაწყვეტილება მიღებულია/ უარყოფილია: თუ გადაწყვეტილება ყველა მხარისათვის მისაღებია, ის განხორციელდება და საჩივარი დაიხურება. თუ გადაწყვეტილება მიუღებელია, ის გადაიხედება და შესაძლებელია შეთავაზებული იქნას შესწორებული სახით. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მხარეს (მხარეებს) შეუძლიათ ნებისმიერ დროს აირჩიონ სამართლებრივი დაცვის გარე საშუალებები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შეთანხმება გადაწყვეტილების შესახებ ვერ იქნა მიღწეული.

ეტაპი 5 - მონიტორინგი & შეფასება: მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება განხორციელდება, მოხდება მისი მონიტორინგი და შეფასება მისი ეფექტიანობა. გადაწყვეტილების შესრულების შესახებ ყველა მხარეს ეცნობება და მათ ექნებათ შესაძლებლობა წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები გასაჩივრების პროცედურისა და მისი განხორციელების შესახებ.

მსოფლიო ბანკის საჩივრების განხილვის სისტემა

იმ თემებსა და ცალკეულ პირებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილმა პროექტმა შესაძლებელია უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მათზე, შეუძლიათ საჩივრები წარადგინონ არსებული პროექტის დონეზე გასაჩივრების მექანიზმებში ან მსოფლიო ბანკის დავების გადაწყვეტის სამსახურში. დავების გადაწყვეტის სამსახური უზრუნველყოფს საჩივრების დროულად განხილვას, რათა გადაიჭრას პროექტთან დაკავშირებული პრობლემები. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებსა და ცალკეულ პირებს ასევე შეუძლიათ წარუდგინონ საჩივარი მსოფლიო ბანკის დამოუკიდებელი ინსპექტირების პანელს, რომელიც განსაზღვრავს, მიადგათ თუ არა მათ ზარალი მსოფლიო ბანკის მიერ მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეუსრულებლობის შედეგად. საჩივრების წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს მას შემდეგ, რაც ეს საკითხები უშუალოდ მსოფლიო ბანკს ეცნობება და ბანკის მენეჯმენტს მიეცემა პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

8. მონიტორინგი და ანგარიშგება

8.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მონიტორინგის საქმიანობებში

კვლევისა და მონიტორინგის მეთოდები, ისევე როგორც კვლევისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები, განხილული იქნება მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან. კომიტეტის სხდომებზე განხილული და შეთანხმებული იქნება საკითხები, თუ როგორ იქნება გამოკვლეული განვითარება, წინსვლა, როგორ მოხდება მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. პროექტის ეფექტიანობისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ძირითადი ინდიკატორები ასევე დადგინდება მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, რომლებიც რეგიონული საორგანიზაციო კომიტეტისა და მმართველი საბჭოს წევრები არიან.

საგრანტო პროექტების მონიტორინგისათვის პროექტის განმახორციელებელი გუნდი შექმნის ჯგუფს თემის წევრების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, მეცნიერების, მუნიციპალიტეტების და სამინისტროების ექსპერტების შემადგენლობით. ყოველი ჯგუფი განსაზღვრავს და დაადგენს მონიტორინგის კვლევის მოცულობას, კრიტერიუმებსა და ვადებს. საგრანტო მონიტორინგში აუცილებლად იქნება პირისპირ შეხვედრა თითოეული საგრანტო პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანთა ჯგუფებთან.

მესამე მხარის მიერ პროექტის ეფექტიანობის მონიტორინგი შესრულდება საპროექტო დოკუმენტაციისა და გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესაბამისად.

8.2. ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების წინაშე

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამის მართვის ეფექტიანობასა და შესრულებას თვალყურს მიადევნებენ, ზედამხედველობას გაუწევენ და აცნობებენ კრედიტორებს: როგორც მსოფლიო ბანკს, ასევე გლობალურ გარემოსდაცვით ფონდს. კრედიტორებისათვის ანგარიშში იქნება ცალკე განყოფილებები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის საქმიანობებისათვის (ადგილობრივი თემების ქვეგანყოფილებებით, სოციალურად დაუცველი ჯგუფებითა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) და ასევე დავებისათვის. ანგარიშს თან ექნება დართული დაინტერესებულ მხარეთა განახლებული რუკა და დავების მართვის ეფექტიანობა ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებთან მიმართებაში.

პროექტის განმახორციელებელი გუნდი დაიწყებს კომიტეტებთან შეხვედრებს (რეგიონული კომიტეტი, მმართველი საბჭო, საკონსულტაციო კომიტეტი), სადაც მოკლე ინფორმაციას მიაწვდის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის საქმიანობებსა და დავების შესახებ.

რაც შეეხება გრანტებს, საგრანტო პროექტების ანგარიშგების ნიმუშს ექნება განყოფილება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის საქმიანობებისა და თემებთან კონსულტაციების შესახებ. გრანტის მიმღების პირები წარადგენენ დაინტერესებულ მხარეთა განახლებულ რუკებს მათი საქმიანობის მიმდინარეობის ანგარიშებთან ერთად.

პროექტის განმახორციელებელი გუნდი ასევე ყოველთვიურად/ კვარტალურად გამოაქვეყნებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებსა და განახლებულ ინფორმაციას პროექტის მსვლელობის შესახებ პროექტის ვებგვერდებზე.

9. ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ნიმუში

მსოფლიო ბანკის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ნიმუში შესაბამისი ცხრილებით გამოყენებული იქნება კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში. გთხოვთ, იხილოთ დანართი 2.

10. გამოყენებული ლიტერატურა

World Bank, 2018, *Template for ESS10: Stakeholder Engagement and Information Disclosure, Stakeholder Engagement Plan and Stakeholder Engagement Framework*

World Bank, 2018. *Guidance Note for Borrowers, Environmental and Social Framework for IPF Operations, ESS10: Stakeholder Engagement and Information Disclosure*

11. დანართები

დანართი 1 - ეროვნული საკონსულტაციო შეხვედრების მონაწილეთა სია

თურქეთი - 2021 წლის 4 თებერვალი

- თურქეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ურბანიზაციის სამინისტრო
- სინოპის უნივერსიტეტი, თევზჭერის ფაკულტეტი, საზღვაო ბიოლოგიის დეპარტამენტი
- თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის, საზღვაო საქმეთა და კომუნიკაციების სამინისტრო
- Muğla Sitki Koçman უნივერსიტეტი
- თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტის საზღვაო მეცნიერებათა ფაკულტეტი
- თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო
- სანაპირო დაცვის სარდლობა
- თურქეთის რესპუბლიკის მრეწველობისა და ტექნოლოგიის სამინისტრო
- თურქეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის სამინისტრო
- თურქეთის გარემოსდაცვითი განათლების ფონდი
- თურქეთის საზღვაო ძალების სარდლობა
- Ilbank
- თურქეთის რესპუბლიკის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
- თურქეთის განვითარებისა და ინვესტიციების ბანკი (TKYB)
- სარიერის მუნიციპალიტეტი, სტამბოლი
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა - თურქეთი
- თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიების კვლევითი საბჭო (Tubitak), მარმარის კვლევითი ცენტრი
- ევროკომისია
- ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის საზღვაო მეცნიერებათა ინსტიტუტი
- პერიფერიული საზღვაო რეგიონების კონფერენცია (CPMR)
- ანკარის უნივერსიტეტი, წყლის მართვის ინსტიტუტი
- შავი ზღვის დახმარების მექანიზმი

საქართველო - 2021 წლის 25 თებერვალი

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- Fauna & Flora International - საერთაშორისო ორგანიზაცია
- გურიის სახელმწიფო რწმუნებული
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა - საქართველო
- ქობულეთის მუნიციპალიტეტი
- ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
- SOCAR Industrial Services LLC
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- შავი ზღვის დახმარების მექანიზმი

უკრაინა – 2021 წლის 11 მარტი

- უკრაინის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
- უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- უკრაინის ეკონომიკის, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტრო
- უკრაინის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემია, SSI MorGeoEcoCenter
- Управління екології та природних ресурсів Миколаївської ОДА (ნიკოლაევის სახელმწიფო რეგიონული ადმინისტრაციის ეკოლოგიური და ბუნებრივი რესურსების სამმართველო)
- Департамент екології та природних ресурсів ОДА (რეგიონული სახელმწიფო ადმინისტრაციის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი)
- უკრაინის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის საზღვაო ბიოლოგიის ინსტიტუტი
- ოდესის გარემოსდაცვითი სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ბელგოროდ-დნესტროვსკის ქალაქის საბჭო
- უკრაინის თევზჭერის სახელმწიფო სააგენტო
- ДП "Адміністрація морських портів України" (სახელმწიფო საწარმო „უკრაინის საზღვაო პორტების ადმინისტრაცია“)
- ანტარქტიკის კვლევის უკრაინის ეროვნული ცენტრი
- ჰიდროგენული სისტემების ინჟინერია LLC
- Агентство местного развития Коблевской ОТГ (კობლევსკის გაერთიანებული ტერიტორიული თემის ადგილობრივი განვითარების სააგენტო)
- უკრაინის ეროვნული ეკოლოგიური ცენტრი
- ხერსონის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
- არასამთავრობო ორგანიზაცია Ecoaction
- არასამთავრობო ორგანიზაცია „უკრაინის თევზის მრეწველობის ინოვაციის კლასტერი“
- АБ "УКРГАЗБАНК" (საქციონერთა ბანკი „უკრგაზბანკი“)
- GFCM ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისია
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა
- არასამთავრობო ორგანიზაცია Agricola
- სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულება „უკრაინის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის საზღვაო გეოლოგიის, გეოეკოლოგიის და დანალექი საბადოების წარმოქმნის ცენტრი“
- ი. მეჩნიკოვის ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი
- Асоціація Портове сообщество (საპორტო საზოგადოების ასოციაცია)
- ადმირალ მაკაროვის გემთმშენებლობის ეროვნული უნივერსიტეტი
- უკრაინის საერთო საზღვაო დღის წესრიგის ეროვნული ჰაბი

- Daynewspaper

- პერიფერიული საზღვაო რეგიონების კონფერენცია (CPMR)

მოლდოვა – 2021 წლის 22 მარტი

- მოლდოვას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო
- მოლდოვას რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო
- მოლდოვას რესპუბლიკის წყლის სააუზო მართვის განყოფილება
- მოლდოვას რესპუბლიკის გარემოსდაცვითი სააგენტო
- Агентство Регионального Развития АТО Гагаузия (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, გაგაუზიის რეგიონული განვითარების სააგენტო)
- Фонд Образования и Развития – Молдова (განათლებისა და განვითარების ფონდი - მოლდოვა)
- სახელმწიფო ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური
- Universitatea de Stat din Tiraspol (ტირასპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- Academia de administrare Publică (საჯარო მმართველობის აკადემია)
- მოლდოვას რესპუბლიკის ტურიზმის ინდუსტრიის დამსაქმებელთა ასოციაცია
- ქიმიის ინსტიტუტი
- ავსტრიის განვითარების სააგენტო
- ICS "DANUBE LOGISTICS" შპს
- ენერგეტიკის ინსტიტუტი
- EU4Environment Moldova
- EcoContact
- Caroma Nord Moldova არასამთავრობო ორგანიზაცია
- არასამთავრობო ორგანიზაცია IRR Here and Now
- სააქციო საზოგადოება, Ecostrategii
- არასამთავრობო ორგანიზაცია OIKUMENA
- რესურსებისა და ანალიზის ცენტრი საზოგადოება და გარემოს დაცვა
- ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის თევზჭერის გენერალური კომისია / FAO
- შავი ზღვის დახმარების მექანიზმი
- PWC საერთაშორისო სააუდიტორო კომპანია

ბულგარეთი – 2021 წლის 22 აპრილი

- ბულგარეთის რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და წყლის რესურსების სამინისტრო
- ბულგარეთის რესპუბლიკის რეგიონული განვითარებისა და საზოგადოებრივი სამუშაოების სამინისტრო
- ბულგარეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის, კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამინისტრო
- ბულგარეთის რესპუბლიკის ტურიზმის სამინისტრო

- ბულგარეთის რესპუბლიკის ენერჯეტიკის სამინისტრო
- ვარნის მუნიციპალიტეტი
- ბულგარეთის რესპუბლიკის საზღვაო ადმინისტრაცია - ვარნის ტერიტორიული მმართველობა
- ბულგარეთის პორტების ინფრასტრუქტურის კომპანია
- სტარა ზაგორას რეგიონული ეკონომიკური განვითარების სააგენტო
- ოკეანოლოგიის ინსტიტუტი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია
- ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი
- ნიკოლა ვაპცაროვის საზღვაო აკადემია
- პროფესორ დოქტორ ასენ ზლატაროვის ბურგასის უნივერსიტეტი
- ბურგასის თავისუფალი უნივერსიტეტი
- ჰლოვდივის უნივერსიტეტი 'ჰაისი ჰილენდარსკი'
- შავი ზღვის ინსტიტუტების ასოციაცია
- რეგიონული კლასტერი „North-East"
- შავი ზღვის ბულგარეთის მუნიციპალური დაწესებულებების კავშირი
- ბურგასის რაიონული საინფორმაციო პუნქტი
- ვარნის პორტი EAD/ სახელმწიფო კუთვნილებაში
- ვარნის სავაჭრო და სამრეწველო პალატა
- ბულგარეთის რესპუბლიკის საზღვაო გადაზიდვების პალატა
- ბულგარეთის საზღვაო კლა სტერი
- სანაპირო და საზღვაო სწავლების ცენტრი (CCMS)
- ვია პონტიკას ფონდი
- ბულგარეთის ბიომრავალფეროვნების ფონდი
- "CHAR - შავი ზღვის განვითარების ასოციაცია - ბურგასი არაკომერციული ასოციაცია საზოგადოებრივი სარგებლისათვის
- FLAG შალბა-კავერნა-ბალჩიკი
- ხმელთაშუა და შავ ზღვაში თევზჭერის გენერალური კომისია / FAO
- შავი ზღვის დახმარების მექანიზმი
- კულტურული ტურიზმის ევროპული ინსტიტუტი EUREKA - არაკომერციული ორგანიზაცია
- ეკოლოგიური მოდერნიზაციის ინსტიტუტი
- შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
- ასოციაცია "Forum"
- Cosmos Shipping AD
- რეგიონული განვითარების ეროვნული ცენტრი
- ევროკომისია
- შპს Bon Marine

დანართი 2 - ქვეყნისათვის დამახასიათებელი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ნიმუში

1. შესავალი და პროექტის აღწერა
2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინა საქმიანობების მოკლე აღწერა
3. დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი

დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირების ცხრილი

დაინტერესებული მხარე	პროექტთან კავშირი	დაინტერესებულ მხარეთა კატეგორია	გეოგრაფია	პროექტთან შესაბამისობა

დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის ცხრილი

დაინტერესებულ მხარეთა კატეგორია	დაინტერესებული მხარე	ზემოქმედების /ინტერესის დონე (მაღალი/დაბალი)	გავლენის დონე (მაღალი/დაბალი)	მოლოდინი /პრობლემები	პოზიცია/დამოკიდებულება

4. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა
 - 4.1. ინფორმაციის გამჟღავნების შეთავაზებული სტრატეგია
 - 4.2. კონსულტაციებისათვის შეთავაზებული სტრატეგია
 - 4.3. სოციალურად დაუცველი ჯგუფების შეხედულებების გათვალისწინების შეთავაზებული სტრატეგია
 - 4.4. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სამოქმედო გეგმა

პროექტის ეტაპი	დაინტერესებული მხარე	ჩართულობის მიზანი	გამოყენებული მეთოდები	ვადები / სიხშირე	ადგილი	პასუხისმგებლობა

5. ფინანსური რესურსები და პასუხისმგებლობა
6. გასაჩივრების მექანიზმი
7. მონიტორინგი და ანგარიშგება

დანართი 3 – უკუკავშირი და საჩივრის ფორმა

უკუკავშირი და საჩივრის ფორმა		
თარიღი		
გვარი, სახელი		
საკონტაქტო ინფორმაცია	ელექტრონული ფოსტა	
	ტელეფონი	
	მისამართი	
კომუნიკაციისათვის სასურველი ენა	<i>ინგლისური, ქართული, მოლდოვური, თურქული, უკრაინული, რუსული</i>	
ზოგადი გამოხმაურება		
<i>გთხოვთ, მოკლედ გადმოგვცეთ თქვენი კომენტარები, კითხვები ან შეშფოთება</i>		
საჩივარი		
<i>გთხოვთ, აღწერეთ ინციდენტი ან საჩივარი.</i>		
ინციდენტის თარიღი		ინციდენტის ადგილი
		<i>ქვეყანა / ქალაქი / სოფელი</i>
რას შემოგვთავაზებთ ამ ინციდენტის გადასაწყვეტად?		

გთხოვთ, დაურთეთ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეს ამ ინციდენტთან/საჩივართან

ფოტოები, დოკუმენტები, ნებისმიერი რამ, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ამ საჩივრის გასააზრებლად/გასაგებად.

თქვენი პირადი ინფორმაცია ჩაიწერება დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციის მონაცემთა ანალიზისა და თქვენს საჩივარზე პასუხის გაცემის მიზნით. თქვენი დავის გადასაწყვეტად, თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მიეწოდოს პროექტში მონაწილე სხვა მხარეებს, მაგრამ არ გაიყიდება და არ გადაეცემა არცერთ მესამე მხარეს.

იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაცია მიეწოდება მხარეებს, რომლებიც არ არიან ჩართული დავის გადაწყვეტაში, თქვენი პირადი ინფორმაცია არ იქნება გადაცემული. თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს დაუკავშირდეთ გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის - „შავი ზღვის გალურჯების პროგრამის“ პროექტის ადმინისტრაციას, რათა გქონდეთ წვდომა თქვენს პირად ინფორმაციაზე და მოითხოვოთ გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის - „შავი ზღვის გალურჯების პროგრამის“ პროექტისაგან ნებისმიერი პირადი ინფორმაციის შესწორება, რომელიც თქვენის აზრით, არ არის ზუსტი.